



გარემოს წინააღმდეგ ფარულად დაღებული უმთავრესები

გამოცემა მომზადებულია ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI-ZUG) ფინანსური მხარდაჭერით. ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მის ავტორთა მოსაზრებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებათა ამსახველად.

ეს გამოცემა წარმოადგენს ასოციაცია მწვანე ალტერნატივას საკუთრებას. დაშვებულია გამოცემის გამრავლება არაკომერციული მიზნებისათვის, პირველწყაროს მითითებით.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

ანგარიშში გამოყენებულია მწვანე ალტერნატივას საჯარო პოლიტიკის ნარკვევი „შეთანხმება გარემოს წინააღმდეგ“ - „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2012 წლის 20 მარტის საქართველოს კანონის მიმოხილვა; ავტორი: მერაბ ბარბაქაძე

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული
ტელ: 2 22 38 74; 2 29 27 73; ფაქსი: 2 22 38 74
greenalt@greenalt.org; www.greenalt.org

წინასწარმეტყველება

საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, ადამიანის უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი და უფლება, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ, კონსტიტუციური ნორმებით არის განმტკიცებული. ქვეყანაში ამჟამად მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ძირითადი ნაწილი 90-იანი წლების დასასრულს შეიქმნა. მართალია, მასში დროთა განმავლობაში შედიოდა გარკვეული ცვლილებები, თუმცა, უკანასკნელ პერიოდამდე, ძირითადი პრინციპები და მიდგომები უცვლელი რჩებოდა.

2004 წლის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ქვეყნის მთავრობის მიერ ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართულმა კურსმა თავისი ზეგავლენა იქონია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაზეც. საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობა დაკავშირებული იყო ქვეყნის მთავრობის მიერ აღებულ ეკონომიკის სრული ლიბერალიზაციის და დერეგულაციის კურსთან და სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების ყველა შესაძლო საშუალებით (მათ შორის, ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ათვისების გზით) გაზრდის სურვილთან. გარდა იმისა, რომ ეს ცვლილებები განხორციელდა გაუმჭვირვალედ და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გარეშე, თავად ცვლილებები იყო მიმართული საზოგადოების ინფორმირებისა და გადანაცვლებათა მიღების პროცესში მონაწილეობის არსებული შესაძლებლობების მინიმუმადე დაყვანისაკენ.

გარდა ამისა, გადაუღაზავ ბარიერად დარჩა კანონალსრულების სათანადო უზრუნველყოფა, რაც სახელმწიფო სტრუქტურებში ძლიერი მფარველის არსებობის შემთხვევაში საწარმოებისათვის ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე გარემოს დაბინძურების შესაძლებლობას იძლეოდა. 2011 წლის მარტის შემდეგ კი, რაც გარემოსდაცვითი კონტროლის უფლება გარემოს დაცვის სამინისტროსა და ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის გადანაწილდა, ეს სფერო სრულმა ქაოსმა მოიცვა.

2012 წლის დასაწყისისთვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კონტროლის თვალსაზრისით მდგომარეობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ გაუარესება თითქოსდა შეუძლებელი იყო, მაგრამ... 2012 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ნებისმიერ სამართალდამრღვევს გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ მიეცა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების შესაძლებლობა. დემოკრატიის განვითარებასა და კორუფციასთან ბრძოლაში არაერთი მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა ქვეყანამ მიიღო კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, გარემოს დაცვის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებულ თუ დადგენილ გარემოს დაცვის ყველა ძირითად პრინციპს. უფრო მეტიც, კანონი შეიცავს გარემოსდაცვითი, კორუფციული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის რისკებსა და საფრთხეებს.

კანონის მიღებისას საჯარო უწყებები საზოგადოებას უმტკიცებდნენ, რომ კანონის საფუძველზე შეთანხმების გაფორმება მხოლოდ უმნიშვნელო მასშტაბის სამართალდარღვევაზე იქნებოდა შესაძლებელი და ეს იყო მცირე საწარმოების გაკოტრებისგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პირველივე შეთანხმება ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოებთან (რომლებიც, ამავდროულად გარემოს ერთ-ერთ უმსხვილესი დამაბინძურებელნი არიან) სს“მადნეულთან“ და შპს „კვარციტთან“ გაფორმდა.

კანონი კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებისათვის

2012 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი¹, რომლის თანახმად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში ნებისმიერ სამართალდამრღვევს (რომელიც კანონში მოხსენიებულია, როგორც „დაინტერესებული პირი“) შეუძლია განცხადებით მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და შესთავაზოს შეთანხმების დადება, რომლითაც სახელმწიფო მას გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ გარკვეულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ ყველა სამართალდარღვევას კანონიერად ჩაუთვლის. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლება აქვს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დათანხმდეს ან უარი თქვას შეთანხმების გაფორმებაზე. სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, განაცხადი ეგზავნება პრემიერ-მინისტრს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას შეთანხმების დადების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევებს ეხება, პროცესში საერთოდ არ არის ჩართული გარემოს დაცვის სამინისტრო.

კანონში არაა განსაზღვრული, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე და რა შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს, ან არ დაკმაყოფილდეს დაინტერესებული პირის მოთხოვნა შეთანხმების გაფორმების შესახებ.

კანონში არაა ასახული, თუ როგორ, რა კრიტერიუმებით და ფორმით უნდა მოხდეს შეთანხმებით გათვალისწინებული კომპენსაციების გაანგარიშება.

კანონში არ არის განმარტებული თუ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში კონკრეტულად რა სახის სამართალდარღვევაზე შეიძლება გაფორმდეს შეთანხმება. სამართალდარღვევის არსზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კანონის საფუძველზე შესული ცვლილებით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს კოდექსის რიგი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, თუკი პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის პერიოდისათვის დადებულია შეთანხმება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში. კერძოდ, სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, შენობათა ფასადებზე წარწერების ან სიმბოლოების თვითნებური შესრულებიდან დაწყებული, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე საქმიანობის წარმოებით დამთავრებული, (სამართალდარღვევათა სრული სიისათვის იხილეთ, ანგარიშის I დანართი) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ნებისმიერი სამართალდარღვევა, შეთანხმების დადების შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

აღსანიშნავია, რომ კანონი კრძალავს შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში შეთანხმების ხელმოწერი კანონდამრღვევის საქმიანობის შემონიშნებას და მისთვის სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, მათ შორის, ჯარიმის ან/და ზიანის ანაზღაურების, ასევე რაიმე სახის ვალდებულების, ან მოსაკრებლის დაკისრებას.

კანონი არ აზუსტებს კანონის მოქმედების გავრცელების პერიოდს. კანონის შესაბამისად გაფორმებული შეთანხმებები, შეიძლება შეეხოს, როგორც კანონის მიღებამდე პერიოდში ჩადენილ უკანონო ქმედებებს, ისე კანონის მიღების შემდეგ ჩადენილ უკანონო ქმედებებს. კანონი ადგენს, რომ შეთანხმების საფუძველზე, შეღავათი უნდა გავრცელდეს „შეთანხმების პერიოდზე“, რომელსაც თავად კანონი არ განსაზღვრავს და უნდა დადგინდეს ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. კანონი ცალსახად არ ადგენს, რომ ე.წ. „შეთანხმების პერიოდი“-ს სტატუსის მინიჭება მხოლოდ შეთანხმების ხელმოწერამდე დროის მონაკვეთს შეიძლება შეეხოს. არსებული ფორმულირებით, კანონის შინაარსი არ გამორიცხავს ასევე იმის ალბათობას, რომ „შეთანხმების პერიოდი“-ს სტატუსი, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ დროის მონაკვეთსაც მიენიჭოს და გავრცელდეს შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ჩადენილ უკანონო ქმედებებზე.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმება იდება უვადოდ და მისი გასაჩივრების შესაძლებლობა, კანონის მიხედვით, რეალურად გამორიცხულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის არაუფლებამოსილი პირის მიერაა ხელმოწერილი). შეთანხმება, შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ შეთანხმების მხარე დაინტერესებული პირის მიერ შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში. დარღვევა შესაძლოა გამოიხატოს შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის სრულად და სათანადოდ გადაუხდელობაში და ასევე, დამატებითი

¹ „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 360000000.05.001.016640

ვალდებულებების შეუსრულებლობაში, თუკი ასეთ შემთხვევაში შეთანხმების გაუქმების შესაძლებლობა გათვალისწინებულია თავად შეთანხმებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში საუბარია ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალდარღვევის კანონიერად ჩათვლის შესაძლებლობაზე, შეთანხმების გაფორმების გზით, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია სისხლის სამართლის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობისგან თავის არიდება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლი ადგენს, რომ: „საქმიანობის განხორციელება გარემოზე გემოქმედების ნებართვის გარეშე, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“. კანონის საფუძველზე გაფორმებული შეთანხმების წყალობით, პირს, თუ მსგავსი ქმედების პირველად ჩადენისას არ დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი, იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მას უკვე ვეღარ დაეკისრება სისხლის სამართლის კოდექსის 306-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (რადგან კოდექსის 306-ე მუხლით ეს დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ). შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, პირმა შეიძლება თავი აარიდოს, მათ შორის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც.

საქართველოს პარლამენტმა ისე მიიღო კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომ არ მოუთხოვია ცვლილებების მიღების აუცილებლობის დასაბუთება და დაკმაყოფილდა იმ ბუნდოვანი ჩანაწერით, რომელიც კანონპროექტის განმარტებითი ბარათის აქტის მიღების მიზების თაობაზე ინფორმაციისთვის გამოყოფილ გრაფაში იყო წარმოდგენილი. კერძოდ, კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო: „წარმოდგენილი კანონპროექტით უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და დაინტერესებულ პირს შორის შეთანხმების შემოღება. შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში პირის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედება ჩაითვლება კანონიერად“. განმარტებით ბარათში მითითებული ეს „არგუმენტი“ არანაირად არ ასახავს კანონის მიღების მიზებს, რადგან მისი შინაარსი რეალურად „მიზების“ განმარტებას არ შეიცავს. მასში საერთოდ არ არის საუბარი კანონპროექტის საჭიროებაზე და რაიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომლის გადასაჭრელადაც აუცილებელი იყო მსგავსი კანონპროექტის მიღება.

კანონის ანალიზისას რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სამართლის ისტორიაში ეს, ალბათ, უიშვიათესი საკანონმდებლო აქტია, რომელიც, არსებული სახით, პრინციპულად შეუთავსებელია თვით გარემოს დაცვის იდეასთანაც კი და ამის გათვალისწინებით, მიუღებელია ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოებისთვის. კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს, გარემოს დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობით განმტკიცებულ პრინციპებს და შეიცავს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით, კორუფციულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ხასიათის რისკებს.

კანონის მიღებაზე...

2012 წლის 14 მარტს ორჰუსის ცენტრმა² გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიზანია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში შეთანხმების დადების დაშვება. ცვლილებების შეტანა იგეგმებოდა „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში³, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში. ორჰუსის ცენტრის ინფორმაციით, კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის სავარაუდო თარიღი 2012 წლის 3-6 აპრილი, ხოლო პლენარულ სხდომაზე განხილვის თარიღი 2012 წლის 10-13 აპრილი იყო.

2012 წლის 15 მარტს ორჰუსის ცენტრმა გამოაქვეყნა საკუთარი პოზიცია კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნული იყო:

² "ორჰუსის ცენტრი საქართველოში" დაარსდა 2005 წელს, ეუთო-ს მისიის საქართველოში და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით. ორჰუსის ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს ორჰუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებას ეროვნულ დონეზე. www.aarhus.ge

³ საპარლამენტო განხილვებისას, ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საბოლოოდ აღარ იქნა შეტანილი.

„ცვლილებები წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან, რომლის მიხედვითაც “ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში” (მუხლი 37). გარდა ამისა, კანონპროექტი წინააღმდეგობა საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის ორპუსის კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (რომელიც მოითხოვება გარემოზე ზემოქმედების ნებართვით) გარეშე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, ისობა კონკრეტული საქმიანობების შესახებ გარემოსდაცვითი გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობა და ამით ირღვევა ორპუსის კონვენციის მე-6 მუხლი⁴. ასევე ირღვევა ამავე კონვენციის გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულებაც, რადგან გარემოზე ზემოქმედების ნებართვისა და ჰაერში გაფრქვეული თუ წყალში ჩაშვებული ნივთიერებების შესახებ სტატისტიკური ანგარიშგებისაგან პირის გათავისუფლების შემთხვევაში, შეიზღუდება ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ (მუხლი 4-5). აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოაღნიშნული კანონპროექტის მიხედვით იზღუდება კონვენციით განსაზღვრული საზოგადოების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებაც (მუხლი 9), რადგან აღნიშნული შეთანხმებების გასაჩივრება, კანონპროექტის მიხედვით, არ არის დასაშვები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ასეთი ჩანაწერი კანონში არ აძლევს საშუალებას საზოგადოებას მიმართოს სასამართლოს გარემოსდაცვითი გადანყვეტილებების სამართლიანობის დადგენის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის შემუშავების პროცესში არ იყო უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა, როგორც ამას მოითხოვს ორპუსის კონვენციის მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც ქვეყანას ნაკისრი აქვს ვალდებულება, რომ უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა ისეთი აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისას, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარემოზე, ამავე მუხლის მიხედვით საზოგადოების ჩართვა უნდა ხდებოდეს აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების ადრეულ ეტაპზე, სანამ არჩევანის გაკეთება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

და ბოლოს, კანონპროექტის არსებული სახით მიღებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი და შეუქცევადი ზიანი მიაყენოს გარემოს, და ასევე გაზარდოს პოტენციური კონფლიქტების რისკები კერძო სექტორსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის“.

მოგვიანებით გაირკვა, რომ კანონპროექტი პარლამენტში 2012 წლის 9 მარტს იყო შესული, ხოლო 13 მარტს პარლამენტს უკვე განუხილავს და 68 დეპუტატის ერთსულოვანი გადანყვეტილებით მიუღია კანონპროექტი პირველი მოსმენით.

პარლამენტის მიერ კანონპროექტების ფარულად და დაჩქარებული წესით განხილვა აღარავის გაკვირვებია, თუმცა კანონპროექტის შინაარსმა სამოქალაქო საზოგადოების სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. საზოგადოების შეშფოთებამ და კრიტიკამ კი, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს ოლიმპიური სიჩქარით მუშაობის სტიმული მისცა და სანამ, სამოქალაქო საზოგადოება კანონპროექტის შინაარსში გარკვევასა და სამართლებრივი შეფასების გაკეთებას ცდილობდა და საპროტესტო განცხადებებს ავრცელებდა, უკვე, 2012 წლის 20 მარტს კანონი მიღებული იყო სამივე მოსმენით⁵.

2012 წლის 23 მარტს საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციასთან გაიმართა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქცია, სადაც მონაწილეებმა მოუწოდეს პრეზიდენტს, ვეტო დაედო კანონპროექტისთვის; ამავე დღეს პრეზიდენტს წარედგინა მიმართვა იმავე მოთხოვნით. სამოქალაქო საზოგადოების მოწოდება არც პრეზიდენტისათვის აღმოჩნდა დამაჯერებელი... პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს და ამდენად, კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2012 წლის 30 მარტიდან ძალაშია.

⁴ მწვანე ალტერნატივა არ ეთანხმება ამ კონკრეტულ შეფასებას, რადგან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცესში საზოგადოების მონაწილეობა მანამდეც შეუძლებელი იყო და არა მარტო შეთანხმების დადების შემთხვევაში. გადანყვეტილების მიღება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის თაობაზე ხდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით, რაც თავისთავად არ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას.

⁵ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით - 2012 წლის 13 მარტს (მომხრე - 68, წინააღმდეგი - 0), მეორე მოსმენით - 16 მარტს (მომხრე -65, წინააღმდეგი - 0) და მესამე მოსმენით - 20 მარტს (მომხრე -89, წინააღმდეგი - 8: აბულაშვილი ნუგზარი, ბაღათურია ჯონდო, დიასამიძე თამაზი, კოპალიანი კარლო, ლორთქიფანიძე დიმიტრი, მამრაცხე პეტრე, მარსაგიშვილი რომანი, ცაგარეიშვილი გიორგი) მიიღო. იხ. კენჭისყრის შედეგები www.parliament.ge-ზე.

გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მოქალაქეების შემფოთებას სახელმწიფო უწყებებმა, ოფიციალურად, მხოლოდ პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემდეგ უპასუხეს. გარემოს დაცვის სამინისტრომ 2012 წლის 21 მარტს, შეხვედრამდე ოთხი საათით ადრე, სოციალური ქსელისა და თავისი ვებ-გვერდის მეშვეობით, დაინტერესებული პირები უწყებაში მიიწვია „თემაზე სასაუბროდ და ზუსტი ინფორმაციის მისაწოდებლად“. შეხვედრა, პრაქტიკულად, უშედეგოდ დამთავრდა - მინისტრი ცდილობდა დამსწრე საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ კანონპროექტი მხოლოდ წარსულ დარღვევებზე ვრცელდებოდა და საქართველოს საწარმოების გადარჩენა ამ კანონპროექტის გარეშე შეუძლებელი იყო. მინისტრის მიერ მოყვანილი არგუმენტები დამსწრეთა უმრავლესობისთვის არადამაჯერებელი აღმოჩნდა. მოგვიანებით, მინისტრმა შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოება გარემოსადმი „ფარისევლური დამოკიდებულებაში“ დაადანაშაულა, რადგან მათ არ ისარგებლეს მინისტრის წინადადებით, წერილობით წარდგინათ მისთვის შენიშვნები უკვე მიღებულ კანონზე. აღსანიშნავია, რომ მინისტრის მიერ ამ შეფასების გაკეთებისას არაერთი ორგანიზაციის (მათ შორის ორპუსის ცენტრის) სამართლებრივი შეფასება და შენიშვნები იყო გავრცელებული და წარდგენილი კანონის მიღების პროცესში მონაწილე უწყებებში; ხოლო სამოქალაქო ორგანიზაციების თხოვნა კანონის მოქმედების შეჩერებაში დახმარებისათვის უკვე საქართველოში სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან იყო გაგზავნილი, ვინაიდან სახელმწიფო უწყებებზე გემოქმედების ყველა სხვა საშუალება ამონურული იყო.

2012 წლის აპრილის ბოლოს გარემოს დაცვის მინისტრმა „საზოგადოების ინტერესის დაკმაყოფილება“ მეორედ სცადა და კანონის შესახებ ვრცელი განმარტება ჟურნალ „ლიბერალის“ ჟურნალისტისათვის ინტერვიუს⁶ მიცემისას გააკეთა. სამწუხაროდ, ინტერვიუს ბეჭდური ვერსია არ გამოქვეყნებულა, არსებობს მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გადაღებული ინტერვიუს ამსახველი ვიდეო-რგოლი. ვინაიდან, კანონთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროს/მინისტრის პოზიციის ამსახველი სხვა დოკუმენტი არ არსებობს, ქვემოთ შემოგთავაზებთ რამოდენიმე ციტატას ინტერვიუდან.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ მიიწვია დაინტერესებულ საზოგადოება შეხვედრაზე კანონის მიღების შემდეგ და არა მანამდე ვიდრე შესაძლებელი იყო კანონპროექტზე მსჯელობა, მინისტრმა განაცხადა:

„ბევრი ცვლილებები ხდება კანონში, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, და არ ვიცი... ზოგში ჩართული არიან თავისი სურვილით ადამიანები, ზოგში არ არიან ჩართული. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ გარემოსდაცვით კანონმდებლობაზე საზოგადოება არის ძალიან პასიური, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ასატეხია ისეთი რაღაცა... დახატონ რაღაცა ასეთი სურათი, სამინიელი და ა.შ და რაღაცა სკანდალი შექმნან ამისგან და ამასაც ვინკრეტული მარგინალური რაღაცა ორგანიზაციები ჩააღიან ასეთ რამეებს. თორემ პრობლემა იმაში იყო, რომ მე ვფიქრობ და დღემდე დარწმუნებული ვარ ამაში და ამის ასახსნელად უფრო ვთხოვე, რომ დაუშვათ მოსულიყავი და გვემსჯელა, რომ აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქცია მოყვა გარკვეული ადამიანებისგან ამ ცვლილებებს, ვიდრე რაც მოყვა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ არ ნაიკითხეს კანონი, ან უყურადღებოდ ნაიკითხეს, ნუ, ეხლა, არ ვიცი, შეგნებულად თუ შეუგნებლად მოხდა არასწორი ინტერპრეტაცია და შემდეგ უკვე ამის ტირაჟირება.“

„არ გამჩენია სურვილი, არც თითონ გაჩენიათ სურვილი, როცა გაჩნდა რაღაცა დიდი ინტერესი დაუკავშირდით⁷ ყველას და ვუთხარით, რომ მობრძანდით...“

ინტერვიუში მინისტრი ამბობს, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმება არ დაიდება გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში:

„ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც რატომღაც არავინ არ მიაქცია ყურადღება... როგორც კი ბარალი და ზიანი კვეთს ზღვარს საიდანაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იწყება და ეს ზღვარი არის საკმაოდ დაბალი, მაგალითისთვის... და ეს ზღვარი რეგულირდება ჩემი ბრძანებით, რომელიც უკვე არსებობს... ეს არის 2011 წლის 2 თებერვლის ბრძანება⁸ ზღვარი იწყება საკმაოდ დაბლა.

მაგალითისთვის, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი განისაზღვრება 1000 ლარით და ზევით... ანუ, მიყენებულ ზიანზე ლაპარაკი... და ეს არის ზღვარი რომლის შემთხვევაში იგულისხმება, რომ ეს არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, გარემოსთვის მიყენებული ზიანი განისაზღვრება 1000 ლარით და ზევით, 1000 ლარით და ზევით, 2000 ლარი. ანუ როგორც კი მიყენებული ზიანი სხვადასხვა პუნქტებში: ეს არის ნიადაგი, წყალი, ჰაერი, ტყე და ა.შ. ცდება ამ ზღვარს და ეს ზღვარი არის ძალიან დაბალი,

⁶ ვიდეო-რგოლი ხელმისაწვდომია <http://www.youtube.com>-ზე სათაურით „MOE: შეკითხვები გოგა ხაჩიძეს“. ვიდეო-ჩანაწერი გამოქვეყნებულია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2012 წლის 25 აპრილს.

⁷ მწვანე ალტერნატივას არავინ დაკავშირებია შეხვედრის თაობაზე.

საკმაოდ დაბალი, ათასი, ორიათასი ლარი... გარკვეულ შემთხვევებში 10 ათასი ლარი, შემდეგ გადადის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და ეს შეთანხმება აღარ არსებობს. ანუ როგორც კი მნიშვნელოვანი ზიანი ხდება, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც კი დგება და ეს არის საკმაოდ დაბალ მღვარზემეთქი, ეს შეთანხმება აღარ არსებობს ავტომატურად...”

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის მიერ ხსენებული ბრძანების თანახმად, „გარემოზე მიყენებული ზიანის განსაზღვრა (გამოანგარიშება) ხორციელდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცნობილი გახდა სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად რეგულირების ობიექტების მიერ განხორციელებული ქმედებით (უმოქმედობით) გარემოზე მიყენებული რეალური ზიანის შესახებ“. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმება იდება დროის გარკვეულ პერიოდში პირის მიერ ყველა ქმედების კანონიერად ჩათვლისათვის, მათ შორის იმ ქმედებების, რომელთა შესახებ უფლებამოსილი ორგანოსათვის ცნობილი არ არის და შესაბამისად, გარემოსათვის მიყენებული ზიანი არ ყოფილა შეფასებული.

გარემოს დაცვის მინისტრმა კანონის მიღების მიზანიც განმარტა:

„კანონის ცვლილების მიზანი არის ერთადერთი, რომ არსებობდეს შედარებით მოქნილი მექანიზმი იმისათვის, რომ ამა თუ იმ დარღვევაზე, რომელიც აი ამ შეთანხმების ფარგლებში და ჩარჩოებში ჯდება და არა სისხლის სამართლებრივზე, არა ისეთზე რომელზეც შეუძლებელია შეთანხმება და არც ითვალისწინებს ეს ცვლილება, შეეძლოს კონკრეტულ სააგენტოს პრემიერის თანხმობით, შეეძლოს უფრო მოქნილად მოქმედება, რომ რაღაც სიტუაციაში... მაგალითად, მაგალითად: არსებობს სანარმო, რომელიც... არსებობს რაღაცა გარკვეული ეჭვი, რომ მოხდა რაღაცა ჩაღვრა, დაუშვათ წყლის, ან რომელიც ამ წუთში უკვე ფაქტად შეიძლება ვეღარც ფიქსირდებოდეს და შეუძლებელი და იყოს რაღაცა დადგენა, მაგრამ არსებობს რაღაცა... რაღაცა ისეთი ირიბი დადასტურებები... ანუ დათვლის მექანიზმი შეიძლება იყოს ძალიან რთული ამ შემთხვევაში. შეიძლება იყოს ძალიან რთულიც! არსებობს უფრო მოქნილი მექანიზმი, რომ არ გვქონდეს ორი არჩევანი, რომ ან დაუშვათ, უნდა დაუხუროთ სანარმო, ან დააკისრო მას არაადეკვატურად რაღაცა დიდი, მაღალი გადასახადი, რომელმაც შეიძლება ელემენტარულად პირდაპირ გამოიწვიოს ან ამის დახურვა.. თუმცა, ესეც თუ საჭიროა, შესაძლოა დაიხუროს კიდევ...“

„რეალურად შევხედოთ სიტუაციას, ჩვენ დღეს არ გვაქვს ის მემკვიდრეობა რომ ყველა სანარმო, ან სანარმოების უმრავლესობა აკმაყოფილებდეს ბევრ გარემოსდაცვით პარამეტრს. ამ სანარმოებში დასაქმებულია ათასობით და ათიათასობით ადამიანი. ეს არ არის არც რაღაცა ისეთი სურათის დახატვა, რომ აი ამიტომ არ ვაკეთებ, ეს არის ჩვეულებრივი რეალობა, რომელიც ძალიან კარგად ვიცით. ესეც თუ ვიტყვით, რომ არა, ასე არ არის და ჩვენ მივიღეთ ბრწყინვალე რეალობა და არა ჩაუბედურებული სანარმოები, რომელიც ნელ-ნელა ფეხზე უნდა დადგეს და რაღაც განვითარდეს... აი, ზუსტად ეს არის. ამით ეძლევა შანსი, რომ სანარმოს რაღაცნაირად შევუთანხმდეთ, მოდი მე შენ დღეს დაგაჯარიმებ, აი, ამ გონივრული, ადეკვატური რაღაცა თანხით, სამაგიეროდ, იქვე წერია რომ გარკვეული პირობები, არამართო თანხა, არამედ სხვა ქმედები შეიძლება დააკისრო იმას.

მაგალითად, უთხრა, რომ იცი რა, პირდაპირ შეთანხმებაში ჩაუნერო, რომ ნ თვეში სიტყვაზე კონკრეტული ფილტრი უნდა გამოცვალო. აი, ამაზე ვითანხმდები. ამ ნ თვეში, სიტყვაზე, კონკრეტულად, გადაგახდევინებ მე შენ, აი, ამ იქს თანხას, ღიად, ბიუჯეტში და ვითანხმდები ამაზე რომ ნ თვეში უნდა გამოცვალო ფილტრი.

⁸ სავარაუდოდ, მინისტრი გულისმობს „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 2 თებერვლის №2 ბრძანებას. მეთოდის დანიშნულებაა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) წესის დადგენა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა ან/და სამეურნეო საქმიანობის პროცესში გარემოსათვის მიყენებულ ზიანს და იმ შემოსავალს, რომელიც არ მიუღია სახელმწიფოს და რომელსაც იგი მიიღებდა საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების ჯეროვანი შესრულებისას.

სამაგიეროდ, გაძლევე გარანტიას, რომ აი ამ დარღვევაზე რაც შენ აი ამდენი წელი რაღაცა აფრქვიე, კი არ გკეტავ შენ და შენს ათას თანამშრომელს, თუ ხუთას თანამშრომელს, თუ ათს, კი არ ვუძვებ სახლში და კი არ ვუძვებები დამთავრდით. იმის გამო, რომ ვერ ვადგენ ახლა კონკრეტულად შარშანდინ რამდენი გააფრქვიე, წელს რამდენი გააფრქვიე და ა.შ. და შეიძლება ეს ისეთი რაღაც ჯარიმა გამოვიდეს, რომ ელემენტარულად შენი დახურვა გამოიწვიოს, ან აბსოლუტურად ძალიან ისეთი ... ამის ნაცვლად გეუბნები რომ გადაიხადე კონკრეტული რაღაც ჯარიმა ბიუჯეტში და აი, ეს კონკრეტული პირობა ამ პერიოდში დააკმაყოფილე. ამის საფასურად მე გეუბნები, რომ ის ყველაფერი რაც შენს თავს მოხდა, სუფთა ფურცლიდან დაიწყებ ამ ექვსი თვის მერე, თუ დააკმაყოფილებ ამ პირობებს. ამ პერიოდზე აღარავინ აღარ შეგამომნებს, არავინ აღარაფერს აღარ მოგთხოვს, ოღონდ შენ ეს პირობები დაიცავი“.

„სიმართლე ვითხრათ, ეს ცვლილება ზოგ-ზოგიერთ, ასე ვთქვათ, რაღაცა არასამთავრობო ორგანიზაცია იქნება, თუ სხვა ვიღაც წარმომადგენლებს, რაღაც ასე არ დაეხატათ და ასეთი ფორმით არ წარმოეჩინათ, ეს იყო ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, არც თუ ისე მნიშვნელოვანი რაღაც ცვლილება, რომელიც ძალიან ისეთ უმნიშვნელო საკითხში გაძლევედა გარკვეულ მექანიზმს იმისათვის, რომ ოდნავ უფრო მოქნილი ყოფილიყავი“.

„ეს არის ერთი პატარა უმნიშვნელო მექანიზმი, რომლითაც შეიძლება, რომ რაღაცა ისეთ.. გარკვეული გაურკვეველობები, რომელიც მძიმე ეკონომიკური და ა.შ. შემკვიდრების გამო გვერგო იქნეს აღმოფხვრილი“.

მინისტრმა რამდენჯერმე განმარტა, რომ შეთანხმების დადების კრიტერიუმი იქნებოდა გარემოსთვის მიყენებული ზიანის მასშტაბი და რომ გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში შეთანხმება არ დაიდებოდა. გაურკვეველია, რა აძლევდა მინისტრს აღნიშნულის მტკიცების საფუძველს, რადგან მსგავს შემზღუდავს არც კანონი და არც კანონის საფუძველზე მიღებული შეთანხმების დადების წესისა და პირობების შესახებ დებულება⁹ ითვალისწინებს. მეტიც, გარემოსთვის მიყენებული ზიანის შეფასებას საერთოდ არ ითხოვს კანონი. ამდენად, მინისტრი ან თავად ვერ გაერკვა კანონის შინაარსში, ან მიზანმიმართულად ცრუობდა.

მინისტრი არწმუნებდა ჟურნალისტს, რომ შეთანხმების დადების პროცესი იქნებოდა საჯარო, ინფორმაცია იქნებოდა ყველასთვის ხელმისაწვდომი და ის თავად იზრუნებდა, რომ შეთანხმების ტექსტი ხელმისაწვდომი გამხდარიყო; რომ ნებისმიერ პირს ექნებოდა შესაძლებლობა ჩაეხედა შეთანხმებაში და ენახა თუ რა დარვევისთვის და რა ოდენობის თანხაზე შედგა შეთანხმება.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ მაგალითისთვის რა სახის დარვევებზე შეიძლება შედგეს შეთანხმება, მინისტრის პასუხი იყო:

„პირველივე შეთანხმებაზე მოვანყოთ საჯარო განხილვა და ვნახოთ, აი, პრაქტიკაში როგორ იქნება ეს“.

სამწუხაროდ, არც პირველი, არც მეორე და არც მესამე შეთანხმების¹⁰ დადების შემდეგ, შეთანხმების ტექსტის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პირობა არ გახსენებია მინისტრს. ასევე, აღარ აღმოაჩნდა მინისტრს საჯარო განხილვის ჩატარებისა და პრაქტიკის განხილვის სურვილი.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია

2012 წლის 23 მარტს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა განმარტება, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტის მიერ უკვე მიღებული კანონპროექტის არასწორ ინტერპრეტაციაში დაადანაშაულა¹¹. ამასთან, სამინისტრომ თავის განმარტებაში არ წარმოადგინა რაიმე არგუმენტი ან სტატისტიკა, რომელიც დაასაბუთებდა კანონპროექტის მიღების აუცილებლობას, კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულირების მექანიზმის სისწორეს, ან რომელიც გააქარწყლებდა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემფოთებას.

⁹ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმების დადების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №154 დადგენილება. matsne.gov.ge, 30/04/2012, სარეგისტრაციო კოდი: 360010000.10.003.016827

¹⁰ კანონის არსებობის მანძილზე სამი შეთანხმების გაფორმება მოხდა.

¹¹ იხ. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდი: <http://www.menr.gov.ge/News/2286>

„[ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს] განმარტება „ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ

ბოლო დღეებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრელებული ინფორმაცია და გაკეთებული განცხადებები ცხადყოფს, რომ არასწორად იქნა გაგებული „ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი (რომლითაც ცვლილება შედის აგრეთვე „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში) და შესაბამისად ადგილი აქვს პროექტის ამა თუ იმ ნორმათა არასწორ ინტერპრეტაციას. შესაბამისად, გაკეთებული განცხადებები და შეფასებები არ შეესაბამება სინამდვილეს და ისინა არ გამომდინარეობენ საქართველოს პარლამენტის მიერ უკვე მესამე მოსმენით მიღებული კანონპროექტიდან.

პირველ რიგში ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული შეთანხმება იდება არა სამომავლო პერიოდზე არამედ წარსულ პერიოდზე. შესაბამისად, შეთანხმების გავრცელება კანონპროექტის თანახმად გათვალისწინებულია არა პირის მიერ მომავალში განსახორციელებელ ქმედებებზე, არამედ მის მიერ უკვე - წარსულში განხორციელებულ ქმედებებზე. კანონპროექტის თანახმად „...პირის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედება ითვლება კანონიერად“, რაც იმას ნიშნავს, რომ შეთანხმება ითვალისწინებს მის დადებამდე გასული დროის კონკრეტულ პერიოდს და ამ პერიოდში პირის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერად მიჩნევას. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ კანონპროექტის დებულება არ მოიცავს სამომავლო პერიოდს და შეუძლებელია პირს მიეცეს შეთანხმების დადების დღის შემდგომ პერიოდში უკანონოდ მოქმედების შესაძლებლობა. ამასთან, კანონპროექტი არ შეზღუდავს უფლებამოსილი ორგანოების მონიტორინგის უფლებამოსილებას ან/და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და შესაბამისად, მისი ამოქმედებით არ დაირღვევა და რისკის წინაშე არ დადგება საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა არსებული ვალდებულებების შესრულება, რადგან საუბარია წარსულში განხორციელებულ ქმედებებზე.

რაც შეეხება საკითხს იმის თაობაზე, რომ შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ პირის მიერ კონკრეტულ წარსულ პერიოდში განხორციელებული ქმედებების კანონიერად მიჩნევის საფუძველია შეთანხმება. შესაბამისად, აღნიშნულს რომ არ ჰქონდეს დროებითი ხასიათი, შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით და მისი გაუქმება მხოლოდ პირის მიერ პირობების დარღვევის შემთხვევაში მოხდება. შეთანხმების გაუქმება კი გამოიწვევს წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

არასწორია განცხადება იმის თაობაზე, რომ კანონპროექტის მიხედვით იზღუდება საზოგადოების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ შემდეგს:

კანონპროექტის თანახმად შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ ერთი მხრივ კონკრეტული პირი, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახით. შეთანხმების დადების დღიდან პირს შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/განხორციელებულ ქმედებებზე სახელმწიფოს და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ არ დაეკისრება სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამავე პროექტის თანახმად მისი მოქმედება არ ვრცელდება დაინტერესებული პირის ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. შესაბამისად, ცხადია, რომ ფიზიკური და იურიდიული პირი კვლავაც უფლებამოსილი იქნება ნებისმიერი პირის (მათ შორის შეთანხმების მხარის) წინააღმდეგ მიმართოს სასამართლო.

ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, შეთანხმება უკვე განხორციელებულ ქმედებებზე ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობებისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს პირის მიერ სახელმწიფოსათვის შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ. ამასთან, შეთანხმებით შესაძლებელია განისაზღვროს პირის მიერ შესასრულებელი სხვა საჭირო ვალდებულებები“.

გარდა იმისა, რომ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განმარტება კანონის შინაარსთან დაკავშირებით არ პასუხობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, განმარტების ტექსტი კანონის მოთხოვნის საპირისპირო განმარტებებს შეიცავდა. მაგალითად, განმარტების თანახმად, „შეუძლებელია პირს მიეცეს შეთანხმების დადების დღის შემდგომ პერიოდში უკანონოდ მოქმედების შესაძლებლობა. ამასთან, კანონპროექტი არ შეზღუდავს უფლებამოსილი ორგანოების მონიტორინგის უფლებამოსილებას“. ხოლო კანონის თანახმად, „დაუშვებელია პირის მიერ შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/განხორციელებული ქმედების შემოწმება“¹². ასე, რომ კანონი არა თუ ზღუდავს, არამედ კრძალავს

¹² 2012 წლის 20 მარტის, №5916-რს კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის

შეთანხმების მხარე პირის საქმიანობის შემოწმებას, რაც თავის მხრივ, პირს შეთანხმების დადების შემდგომ პერიოდში უკანონოდ მოქმედების შესაძლებლობასაც აძლევს.

მედიის საშუალებით კანონის მცდარი ინტერპრეტაციის ტირაჟირებას, გარემოს დაცვის მინისტრის მსგავსად, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელებიც ეწეოდნენ.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე ნინო ენუქიძე რადიო «თავისუფლებასთან» ინტერვიუში აცხადებდა:

„კანონი მხოლოდ იმ ლიცენზიანტებს შეეხებათ, რომლებიც გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სფეროში აქამდეც მუშაობდნენ, მაგრამ მოუქნელი მონიტორინგის სისტემის გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს სჩადიოდნენ. კანონში შესული ცვლილებებით სწორედ ასეთ პირებს ეძლევათ საშუალება კომპენსაციის გზით საკუთარი უკანონობების გამოსწორებისა: წლების განმავლობაში დაგროვილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები, სანქციები, საურავები, ბიანი, რაც არის დამდგარი მათი ქმედების შედეგად, შესაძლებელია, რომ ამ ხელშეკრულების, ამ შეთანხმების საფუძველზე იქნეს განერილი და კომპენსაციის გადახდის გზით, წლების გადანაწილების გზით, შეიძლება 10 წელზე გადავუნაწილოთ, - იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ბიანი ტყეს მიაყენეს, დავავალოთ ახალი ტყის გაშენება. პირიქით, ეს არის ჰუმანური კანონი და ემსახურება იმას, რომ ბიზნესსაც ხელი შევუწყოთ, რომ ამ სანქციებით და საურავებით არ დავხუროთ ეს წარმოებები, არამედ მივცეთ იმის საშუალება, რომ მათ მიერ ჩადენილი ესა თუ ის ქმედება გამოასწორონ. ეს არის ამ კანონის მიზანი“¹³.

პირველ რიგში, კანონი ვრცელდება არა მარტო ლიცენზიანტებზე, როგორც ამას მინისტრის მოადგილე ამტკიცებდა, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე; ხოლო კანონი კანონდამრღვევს არა უკანონობის „გამოსწორების“, არამედ „კანონიერად ჩათვლის“ შესაძლებლობას აძლევს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრიტიკა განსაკუთრებით მიუღებელი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისათვის აღმოჩნდა:

“ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, ვინც ამას იძახის, საკმაოდ მარტივად ვეტყვოდი, რომ დასხდნენ და წაიკითხონ, რაც კანონში თეთრზე შავით წერია. გამომდინარე იქიდან, რომ უაზროა ის პროტესტი, რომელსაც გამოთქვამენ. უაზრობაა რომელიმე კომპანიამ მომავალზე ინდულგენცია მიიღოს. ეს კანონი მომავალზე არ ვრცელდება. მხოლოდ და მხოლოდ წარსულში არსებულ დარღვევებს ფარავს. თუ რომელიმე კომპანიას დარღვევა ეწება, ეს კანონი ამ კომპანიასთან კონკრეტული შეთანხმების გაფორმებას უშვებს, იმისთვის რომ კომპანია არ დაილუქოს, არ დაიკეტოს, არამედ დარიცხული ჯარიმის რესტრუქტურირებაცაა მოხდეს. აქედან გამომდინარე, მარტივად, ქართულად, კანონში თეთრზე შავით წერია და ჩემი რეკომენდაცია იქნება იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ამას პირდაპირ, უაზროდ აპროტესტებენ, კანონი მარტივად აიღონ და წაიკითხონ. ამისთვის იურისტებიც არსებობენ.“ - განაცხადა ხეთაგურმა“¹⁴.

მინისტრი, მისი კოლეგების მსგავსად ცრუობდა, ვინაიდან კანონით შემოღებულ შეთანხმებას არაფერი აქვს საერთო „დარიცხული ჯარიმის რესტრუქტურირება“-სთან. დარიცხული ჯარიმის რესტრუქტურირება კანონით ისედაც დაშვებული იყო „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში 2011 წლის 27 დეკემბერს შესული ცვლილებით¹⁵.

შესახებ“, 1 მუხლი.

¹³ „გარემოს დაცვის კანონი - ინდულგენცია თუ ამნისტია?“ რადიო თავისუფლება, 03 დეკემბერი, 2012 <http://www.tavisupleba.org/content/article/24524903.html>

¹⁴ <http://news.ge>, „მოგება კომპანიებისთვის თუ უსაფრთხო გარემო?“ 23 მარტი, 2012.

¹⁵ matsne.gov.ge, 12/01/2012, სარეგისტრაციო კოდი: 360000000.05.001.016596

I შეთანხმება - „გაღწეული და კვარციტი გარემოს წინააღმდეგ“

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი კანონდარღვევის შესახებ შეთანხმება, 2012 წლის 30 მარტიდან ძალაშია. კანონი იმდენად ბუნდოვანი, დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია, ნათელი იყო, რომ არაერთი ამგვარი ცვლილების მსგავსად, ესეც კონკრეტული სუბიექტების ინტერესებს ემსახურებოდა და ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ამ ცვლილებითაც მალე ისარგებლებდა „დაინტერესებული პირი“. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების იმუამინდელი მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურისა და გარემოს დაცვის იმუამინდელი მინისტრის, გოგა ხაჩიძის დაპირების შესაბამისად, საზოგადოება ელოდებოდა შეთანხმებების დადების დია, საჯარო პროცესს.

კანონის ამოქმედებიდან 2 თვის თავზე, 2012 წლის მაისის ბოლოს მწვანე ალტერნატივამ მიმართა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დადებული ხელშეკრულებების ან ხელშეკრულების დადებისათვის მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ. ამასთან დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში ორგანიზაცია ითხოვდა შეთანხმების გაფორმების შესახებ გადანაცვების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების ამსახველ სრული დოკუმენტაციის ასლს, მათ შორის - პირის მიერ შეთანხმების დადების თაობაზე განცხადებას, შეთანხმების ტექსტს და შეთანხმების დადების პროცესში შექმნილ ყველა ოფიციალურ დასკვნას, შეფასებას, ანგარიშს თუ მოხსენებით ბარათს.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნიდან კანონით დადგენილ ვადაზე გაცილებით მეტი დრო გავიდა, თუმცა მწვანე ალტერნატივამ პასუხი ვერ მიიღო. ამიტომ ორგანიზაციამ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა. საჩივრის გაგზავნიდან ერთი კვირის შემდეგ¹⁶ მწვანე ალტერნატივამ მიიღო მინისტრის მოადგილის, ნინო ენუქიძის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო: „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში“ დადებულია ერთი შეთანხმება, ერთის მხრივ, სს „მადნეულს“ და შპს „კვარციტს“ შორის და მეორეს მხრივ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის. დანართის სახით გიგზავნით აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით სამინისტროში არსებულ დოკუმენტაციას“. წერილს თან ერთვოდა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურისათვის გაგზავნილი სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ ერთობლივი ორწინადადებიანი განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო: „*მოგმართავთ გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 57¹¹ მუხლის საფუძველზე და გთხოვთ, გაგვიფორმოთ ამავე კანონის 57¹⁰ მუხლი გათვალისწინებული შეთანხმება 1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე. ამასთან, აღნიშნული შეთანხმების სანაცვლოდ მზად ვართ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად, თანაბარი პროპორციით, გადავიხადოთ კომპენსაცია საერთო ჯამში 13 (ცამეტი) მილიონი ლარის ოდენობით, არაუგვიანეს 2014 წლის მარტისა, ურთიერთშეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად*“. განცხადებას თან ერთვის გადახდების გრაფიკი და საწარმოების მიერ გასატარებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი;
2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ნიკა გიულაურის 2012 წლის 14 მაისის ბრძანება შეთანხმების დადების თაობაზე და;
3. პრემიერ მინისტრის ბრძანების საფუძველზე ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და სს „მადნეულს“ და შპს „კვარციტს“ შორის გაფორმებული შეთანხმების დოკუმენტი, რომელსაც ერთვის კომპანიების მიერ განაცხადთან ერთად წარდგენილი თანხის გადახდისა და განსახორციელებელი ქმედებების გრაფიკი უცვლელი სახით.

ვინაიდან მოწოდებული დოკუმენტაცია სრულად არ ასახავდა შეთანხმების დადების თაობაზე გადანაცვლების მიღებისათვის ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, მწვანე ალტერნატივამ არ გამოიხმო საჩივარი და დანარჩენი დოკუმენტების მოწოდება მოითხოვა. გაუგებარია როგორ მოახერხა ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ, მაგრამ როგორც საჩივრის განხილვისას გაირკვა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არ არსებობდა ამ პროცესთან დაკავშირებული რაიმე სხვა დოკუმენტი (დასკვნა, შეფასება, მოხსენებითი ბარათი, ან თუნდაც განაცხადის ვიზირების ამსახველი დოკუმენტი).

¹⁶ წერილი დათარიღებულია 2012 წლის 10 ივლისით. მწვანე ალტერნატივას წერილი ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე გაგზავნილი იყო 2012 წლის 25 მაისს.

მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემული დოკუმენტებიდან და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ოფიციალური განმარტების თანახმად, მოვლენები შემდეგი თანმიმდევრობით ვითარდებოდა :

1. სს“მადნეულისა“ და შპს “კვარციტის“ ხელმძღვანელობამ 2012 წლის 14 მაისს მიმართა ენერგეტიკის მინისტრს შეთანხმების დადების თხოვნით. საწარმოები არ მიუთითებდნენ იმ კანონდარღვევებზე რომელთა კანონიერად მიჩნევასაც ითხოვდნენ 13 მილიონი ლარის სანაცვლოდ. განცხადებაში მითითებული იყო მხოლოდ დროის პერიოდი - 18 წელი, რომლის განმავლობაში ჩადენილი ქმედებებიც უნდა ჩათვლილიყო კანონიერად.
2. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა იმავე დღეს განიხილა განაცხადი, არ გასჩენია კითხვები (მაგალითად, იმის შესახებ თუ რა სახის და მასშტაბის კანონდარღვევის კანონიერად ცნობას ითხოვდნენ საწარმოები), მოიწონა განაცხადი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გაუგზავნა პრემიერ-მინისტრს.
3. არც პრემიერ-მინისტრს დასჭირვებია ბევრი დრო გადაწყვეტილების მისაღებად. მანაც იმავე დღეს, 2012 წლის 14 მაისს გამოსცა ბრძანება #624 „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში შეთანხმების დადების შესახებ“. პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა სს „მადნეულთან“ და შპს “კვარციტთან“ „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 57¹⁰ მუხლით გათვალისწინებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმების დადება.
4. იმავე დღეს ვეღარ მოესწრო, როგორც ჩანს და მხოლოდ შემდეგ დღეს, 2012 წლის 15 მაისს გაფორმდა შეთანხმება ერთის მხრივ, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მეორეს მხრივ სს „მადნეულს¹⁷“ და შპს „კვარციტს¹⁸“ შორის.

2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე სს „მადნეულისა“ და შპს“კვარციტის“ მიერ 1994 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 14 მაისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ/განხორციელებულ ყველა ქმედება ითვლება კანონიერად და შესაბამისად, სახელმწიფო და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ საწარმოებს არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულება სულ ორი სახის ვალდებულებას ითვალისწინებს: (1.) 2014 წლის მარტამდე „მადნეულისა“ და „კვარციტის“ მიერ ჯამურად 13 მილიონი ლარის გადახდას შეთანხმებული გრაფიკით და (2.) ლიცენზიის მოქმედების ვადის ამონურვამდე შეთანხმებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ შეთანხმება ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კომპენსაციის გადახდის გრაფიკის დარღვევისთვის. თუკი, გრაფიკით შეთანხმებული თარიღებზე ვადის გადაცილების დღეთა ჯამური ოდენობა 10 დღეს შეადგენს, შეთანხმება შეუსრულებლად და გაუქმებულად ითვლება. ხოლო, შეთანხმებაზე დართული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შეუსრულებლობისთვის შეთანხმება არავითარ სანქციას არ ითვალისწინებს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ შეთანხმებაზე ამ ე.წ. გეგმის დართვაც მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იგივეს მონშობს თავად გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩამონათვალის (იხ. ქვემოთ ჩანართი 1 და ჩანართი 2.). გარდა იმისა, რომ გეგმა-გრაფიკში ჩამოთვლილი ყველა ქმედების შესრულება ისედაც ევალებოდათ საწარმოებს, ღონისძიებების აღწერა ზოგადი, ურთიერთმოცველი და ზოგ შემთხვევაში არაფრის მთქმელია. მაგალითად ნარჩენების მართვის თემას ჩამონათვალში ეხება 10 პუნქტი. ათიდან ერთი ზოგადად „ნარჩენების მართვაა“, რომელის შესრულების ვადა 12.04.2014-ია. გაუგებარია, რაში უნდა გამოიხატოს ამ პუნქტის შესრულება, თუმცა გეგმა-გრაფიკის მიხედვით ამავე დროისთვის შესრულდება - „ნარჩენების სეპარაცია“ და „თხევადი ნარჩენების მართვა“.

¹⁷ სს „მადნეული“: წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 053, ნომერი 0011, ტიპი IIAC) მადნეული ოქრო-სპინდ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოს კომპლექსურ დამუშავებაზე, მოქმედების ვადით 1994 წლის 12 აპრილიდან 2014 წლის 12 აპრილამდე; სასარგებლო წიაღისეული მოპოვების ლიცენზია 06.12.2011წ. #1000281 ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალების და ბარიტის შესწავლა-მოპოვებაზე, მოქმედების ვადით 2011 წლის 6 დეკემბრიდან 2014 წლის 12 აპრილამდე; 06.02.2009წ #00174 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

¹⁸ შპს „კვარციტი“: წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია 53, ნომერი 0010, ტიპი VI ABC) ბოლნისის ჯგუფის ცნობილი საბადოების წიაღისეულის გეოლოგიურ შესწავლა-მოპოვებაზე, მოქმედების ვადით 1994 წლის 7 აპრილიდან 2014 წლის 7 აპრილამდე; 06.02.2009წ. #00172 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

ჩანართი 1. სს „მადნეული“ მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადის მოაზრვამდე გასატარებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი

#	ღონისძიებების დასახელება	შესრულების ვადა
1	სს „მადნეული“ დამაგრებული მიწის ფართობების კადასტრის შედგენა და მათი კონტურების სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებთან ერთობლივი დაზუსტება	31.10.2012
2	მადნეულის ოქრო-ბარიტ-სპილენძის საბადოს დამუშავების პროექტის მომზადება და მისი შეთანხმება	30.06.2012
3	კარიერის გენერალური დახრის კუთხისა და გადახსნის კოეფიციენტის დაცვაზე მონიტორინგის დანერგვა	12.04.2014
4	კომპანია „მადნეული“ გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება	31.07.2012
5	ნარჩენების მართვა	12.04.2014
6	ნარჩენების სეპარაცია	12.04.2014
7	მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა	12.04.2012
8	მადნეულის კარიერში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
9	თხევადი ნარჩენების მართვა	12.04.2014
10	მადნეულის საბადოს დამუშავებისას წარმოქმნილი თხევადი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
11	გარემოს დაცვის მართვის შიდა სისტემის შემუშავება	30.08.2012
12	ეკოლოგიური რისკების რეესტრის შედგენა	15.08.2012
13	მყარი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	30.09.2012
14	მყარი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება-გაფორმება	30.10.2012
15	თხევადი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	20.03.2012
16	თხევადი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება-გაფორმება	30.10.2012
17	რეკულტივაციის პროექტის შემუშავება	30.06.2012
18	სემონური სარეკულტივაციო სამუშაოების ფართობების შერჩევა და სანერგე მასალის შექცნა	05.11.2012 05.04.2013 05.11.2013 05.04.2014
19	სემონური სარეკულტივაციო სამუშაოების ორგანიზება	15.11.2012 15.04.2013 15.11.2013 15.04.2014
20	სტრუქტურული დანაყოფებისთვის გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება	30.09.2012
21	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის პროგრამის შედგენა	15.07.2012
22	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის ყოველკვირეული მონაცემების სისტემატიზაცია	12.04.2014
23	საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტირება	15.04.2013
24	სანარმოში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი, სეპარირებული განთავსების მოედნების მოწყობა/მშენებლობა	30.10.2012
25	ავარიული დამჭერი ვასკადის აღდგენა/მშენებლობა	15.05.2013
26	შებრუნებული წყლის გამოყენებით ავტომანქანების სამრეცხაო ბლოკის აშენება/მოწყობა	30.10.2012
27	სანვავ-საპოხი მასალების საცავის ავარიული დამჭერის მშენებლობა	15.09.2012
28	მადნის დასაწყობების მოედნის მოწყობა	30.11.2012
29	ბიოტეალეტების შექცნა	15.08.2012

ჩანართი 2. შპს „კვარციტის“ მიერ ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე გასატარებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი

#	ღონისძიებების დასახელება	შესრულების ვადა
1	შპს „კვარციტზე“ დამაგრებული მიწების კადასტრის შედგენა და სახელმწიფოს უფლებამოსილ წარმომადგენლებთან ერთად მათი კონტურების დაზუსტება	31.10.2012
2	საყდრისის საბადოს დამუშავების პროექტის მომზადება და მისი შეთანხმება	31.07.2012
3	გადახსნის კოეფიციენტისა და გენერალური დახრის კუთხეზე მონიტორინგის დაწესება	07.04.2014
4	შპს „კვარციტის“ გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება	01.07.2012
5	ნარჩენების მართვა	07.04.2014
6	ნარჩენების სეპარაცია	07.04.2014
7	მყარი ნარჩენების მართვა	07.04.2012
8	საყდრისის საბადოში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
9	თხევადი ნარჩენების მართვა	07.04.2014
10	საყდრისის საბადოს დამუშავებისას წარმოქმნილი თხევადი ნარჩენების სიის შედგენა	15.08.2012
11	გარემოს დაცვის მართვის შიდა სისტემის შემუშავება	30.09.2012
12	ეკოლოგიური რისკების რეესტრის შედგენა	15.09.2012
13	მყარი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	30.10.2012
14	მყარი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება -გაფორმება	15.11.2012
15	თხევადი ნარჩენების სეპარირებისა და მათი დროებითი შენახვის ორგანიზება	15.08.2012
16	თხევადი ნარჩენების გადაზიდვასა/გადამუშავებაზე შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება -გაფორმება	15.11.2012
17	რეკულტივაციის პროექტის შემუშავება	30.08.2012
18	სემონური სარეკულტივაციო სამუშაოების ფართობების შერჩევა და სანერგე მასალის შექმნა	05.11.2012 05.04.2013 05.11.2013 05.04.2014
19	სემონური სარეკულტივაციო სამუშაოების ორგანიზება	15.11.2012 15.04.2013 15.11.2013 15.04.2014
20	შპს „კვარციტის“ სტრუქტურული დანაყოფებისთვის გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავება	30.09.2012
21	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის პროგრამის შედგენა	15.07.2012
22	ეკოლოგიური თვითმონიტორინგის სისტემის ყოველკვირეული მონაცემების სისტემატიზაცია	07.04.2014
23	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა/რეაბილიტირება	15.09.2012
24	საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი, სეპარირებული განთავსების სპეციალური მოედნების მოწყობა/მშენებლობა	30.09.2012
25	შებენი ნაწილის გამოყენებით ავტომატიზაციის სამრეცხაო ბლოკის აშენება/მოწყობა	15.05.2013
26	სანვავ-საპოხი მასალების საცავის ავარიული დაძვრის მშენებლობა	30.03.2013
27	მადნის დასაწყობების მოედნის მოწყობა	30.08.2012
28	კარიერისათვის ბიოტეკნოლოგიების შექმნა	15.08.2012

ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. საწარმოების მფლობელ კომპანია GeoProMining-სა¹⁹ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2005 წლის 11 ნოემბერს გაფორმებული საწარმოების საპრივატიზებო ხელშეკრულების თანახმად, კომპანია გათავისუფლდა ნაყიდი საწარმოების მიერ გარემოსათვის წარსულში (გაყიდვამდე) მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია: „*გამყიდველი*“ კისრულობს ვალდებულებას, რომ „*მიყიდველი*“ არ აგებს პასუხს და არ იქნება ვალდებული განმინდოს ან სხვაგვარად გამოასწოროს, ან გადაიხადოს რაიმე სამღაური განმინდისა თუ სხვაგვარი გამოსწორებისათვის „დასრულების თარიღამდე“ „ჯგუფის

¹⁹ ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენი“

კომპანიების“ ტერიტორიაზე გამოფრქვეულ ნებისმიერ მავნე ნივთიერებაზე, ან „ჯგუფის კომპანიების“ მიწასა თუ მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოს ნებისმიერ სხვა დაბინძურებაზე“. ამ გარემოების გათვალისწინებით, გაუგებარია რატომ გადაწყვიტა კომპანიამ 1994 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში ჩადენილი კანონდარღვევების საკომპენსაციოდ თანხის გადახდა.

გარდა ამისა, შეთანხმების გაფორმებიდან (2012 წლის 15 მაისი) ზუსტად ერთ თვეში (2012 წლის 14 აპრილს) GeoProMining-მა გააკეთა განცხადება საქართველოში აქტივების გაყიდვის თაობაზე²⁰. ამასთან განცხადების თანახმად, კომპანია აქტივების გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებებს რამდენიმე თვის განმავლობაში აწარმოებდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეთანხმების გაფორმება GeoProMining-ის მხრიდან საწარმოების საქმიანობის ისტორიის „გაკეთილშობილების“, საწარმოების გარემოსათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და შედეგად, სარფიანად გაყიდვისათვის მოხდა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, საწარმოების ახალი მფლობელი დღეს აცხადებს²¹, რომ საწარმოების ყიდვისას არაფერი იცოდა შეთანხმების და შესაბამისად, შეთანხმებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულების შესახებ. ძნელი დასაჯერებელია, რომ 120 მილიონიანი გარიგების მონაწილე კომპანიამ ვალდებულებების ბოლომდე შესწავლის გარეშე მოაწერა ხელი, ან გარიგების შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რაიმე სანქციებს ახლადამოქმენდი ვალდებულებების თაობაზე; თუმცა, ახალი მფლობელის განცხადებები ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის, შეთანხმება ხელმოწერილია და სს“მადნეულთან“ და შპს “კვარციტის“ მიერ თანხის სრულად დაფარვისთანავე 2012 წლის 14 მაისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედება ჩაითვლება კანონიერად - რაც შეუძლებელია არ იყოს მომგებიანი საწარმოების ახალი მფლობელისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეთანხმების პირობად ზემოთმოყვანილი ღონისძიებების გატარების ვალდებულების განსაზღვრა სრულიად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეთანხმება სანქციას არ ითვალისწინებს. მეტიც, როგორც მწვანე ალტერნატივამ გაარკვია²², საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია შეთანხმებით გათვალისწინებული გეგმის შესრულების თაობაზე და არც რაიმე ზომები აქვს მიღებული ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ამდენად, სს „მადნეულთან“ და შპს “კვარციტთან“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში 2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა ის მდგომარეობა, რომელიც სახელმწიფომ შექმნა 2005 წელს საწარმოების პრივატიზებისას ახალი მფლობელის გარემოსთვის წარსულში მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებით - სიტუაცია, სადაც არავინ (არც სახელმწიფო და არც საწარმოების მესაკუთრეები) იღებს პასუხისმგებლობას საწარმოების მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებასა და კომპენსირებაზე.

II შეთანხმება საქნახშირთა

2012 წლის 29 ივნისს შპს“საქნახშირმა“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) მიმართა საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მოითხოვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების # 100752²³, #01018²⁴ და #00885²⁵ ლიცენზიებთან დაკავშირებით 2010 წლის 6 იანვრიდან 2011 წლის 12 ოქტომბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეთანხმების დადება. შეთანხმების დადების

²⁰ <http://www.geopromining.com>, Объявление о продаже активов Группы ГеоПроМайнинг в Грузии, 14 Июня 2012, Москва

²¹ <http://liberali.ge>, „ანგარიში დაკარგული გარემო“, 08.02.2013

²² ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ხმაღაძის 2012 წლის 6 დეკემბრის პასუხი მწვანე ალტერნატივას, რომლითაც ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას სს „მადნეულთან“ და შპს “კვარციტთან“ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში 2012 წლის 15 მაისს დადებული შეთანხმების საფუძველზე შეთანხმებული მოქმედებათა გეგმის შესრულების თაობაზე (გეგმით გათვალისწინებული ქმედებების უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებული უნდა ყოფილიყო).

²³ წიაღით სარგებლობის ლიცენზია # 100752 გაცემულია 2007 წლის 24 ოქტომბერს შპს „საქნახშირზე“ ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს მინისქვეშა დამუშავებისათვის. ლიცენზიის ფარგლებში უნდა მომხდარიყო მინდელისა და ძიძიურის შახტების რეაბილიტაცია.

²⁴ წიაღით სარგებლობის ლიცენზია # 01018 გაცემულია 2007 წლის 25 დეკემბერს შპს „საქნახშირზე“ ტყიბულისა და ამბროლაური ტერიტორიაზე ქვანახშირის მოპოვებისათვის. ლიცენზიის ფარგლებში იგეგმება ახალი შახტის მშენებლობა.

²⁵ წიაღით სარგებლობის ლიცენზია #00885 გაცემულის შპს „საქნახშირზე“ 2007 წლის 24 ოქტომბერს ნახშირის ნაწილობრივ კარიერული წესით მოპოვებისათვის.

სანაცვლოდ კომპანია მზად იყო 20 კალენდარული დღის ვადაში 40 ათასი ლარი გადაეხადა.

უცნობია რა დარღვევების კანონიერად მიჩნევას ითხოვდა „საქნახშირი“. კომპანიის განცხადებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონდარღვევები წიაღის მოპოვებასთან იყო დაკავშირებული. თუმცა, განცხადების საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ივანე მერაბიშვილის მიერ 2012 წლის 20 ივლისს გამოცემული ბრძანება და შემდგომში, 2012 წლის 24 ივლისს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან (წარმოდგენილი მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურის მიერ) დადებული შეთანხმება ითვალისწინებს მოთხოვნილ პერიოდში არა მარტო ლიცენზიასთან დაკავშირებული ქმედებების, არამედ ზოგადად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი/განხორციელებული ყველა ქმედების კანონიერად მიჩნევას.

სს“მადნეულსა“ და შპს „კვარციტან“ დადებული შეთანხმებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის მიმართვიდან პრემიერ-მინისტრის ბრძანების გამოცემამდე საკმაოდ დრო - თვეზე მეტია გასული. თუმცა, როგორც ჩანს, პროცესის დროში განელვა გადაწყვეტილების მიღების პროცესის სირთულით არ ყოფილა გამოწვეული, რადგან ამ შემთხვევაშიც არ არსებობს ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი თუნდაც ერთი დამატებითი ფურცელი. არსებობს მხოლოდ კომპანიის განცხადება, პრემიერ-მინისტრის ბრძანება (რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა კომპანიის მოთხოვნა) და ბრძანების საფუძველზე დადებული შეთანხმება.

საინტერესოა, რომ შეთანხმება არ გულისხმობდა რაიმე დამატებითი ვალდებულებების შესრულებას და სამი ლიცენზიის ფარგლებში თითქმის ორი წლის განმავლობაში ჩადენილი/განხორციელებული კანონდარღვევების კანონიერად მიჩნევისათვის მხოლოდ 40 ათასი ლარის გადახდას ითვალისწინებდა.

III შეტანხმება - იაზაღ...

2012 წლის 24 ივლისს გამოიცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ივანე მერაბიშვილის ბრძანება #1135 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში მორიგი შეთანხმების დადების თაობაზე. ბრძანებით, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა შეთანხმების გაფორმება სს „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთის“ (თურქული კომპანია) ფილიალთან საქართველოში. ბრძანებით განისაზღვრა შეთანხმების პერიოდი - 2011 წლის 8 ივლისიდან 2012 წლის 20 ივლისამდე; ხოლო ამ ერთი წლის განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი/განხორციელებული სამართალდარღვევების კანონიერად ჩათვლისათვის საკომპენსაციო თანხად განისაზღვრა 20 ათასი ლარი.

2012 წლის 6 აგვისტოს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა (წარმოდგენილი მინისტრის, ალექსანდრე ხეთაგურის მიერ) და საქართველოში სს „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთის“ ფილიალს შორის გაფორმდა პრემიერ-მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი შეთანხმება. ისევე, როგორც დანარჩენ ორ შემთხვევაში, უცნობია ამ შეთანხმებით კანონიერად ცნობილი დარღვევების არსი.

აღსანიშნავია, რომ სს „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთის“ ფილიალი საქართველოში 2011 წლის 8 ივლისს დარეგისტრირდა. ფაქტიურად, შეთანხმებით მოხდა კომპანიის საქართველოში ოპერირების დღიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილი ყველა ქმედების კანონიერად მიჩნევა.

დასკვა

ქვეყანაში 2012 წლის ოქტომბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად განახლებული მთავრობის ერთ-ერთი პირველი ინიციატივა გარემოს დაცვის სფეროში „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული იმ ცვლილებების გაუქმებაა, რომლითაც დაშვებული იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში შეთანხმების დადება. თავისთავად, ეს ნაბიჯი, შესაძლოა, მხოლოდ დადებითად შეფასდეს, ვინაიდან, როგორც ანგარიშის მკითხველი დარწმუნდებოდა შეთანხმების დადების წესიც და პრაქტიკაც კანონსაწინააღმდეგოა და კორუფციული გარიგებისათვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

მწვანე ალტერნატივა იმედოვნებს რომ კანონის გაუქმება შესაბამისი შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე მოხდება, რათა ერთის მხრივ, საბოლოოდ დამკვიდრდეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროებისა და კანონიერების დასაბუთების პრაქტიკა; ხოლო, მეორეს მხრივ, ავირიდოთ მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების შესაძლებლობა მომავალში.

სამწუხაროდ, კანონის ძალაში არსებობის მანძილზე მოხდა ანგარიშში განხილული შეთანხმებების გაფორმება, თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ამ საწარმოების საქმიანობის კონტროლი არც შეთანხმების დადებაზე ხდებოდა და სავარაუდოდ, არც შემდგომში იგეგმებოდა. ამდენად, შეთანხმების გაფორმებით, ამ თვალსაზრისით, ბევრი არაფერი შეცვლილა. დღეისათვის, შეთანხმებისგან დამოუკიდებლად, საწარმოების მიერ სავალდებულოდ შესასრულებელია გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილი პირობები, წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობები და სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები. ამდენად, შესაბამისი პოლიტიკური ნებისა და მაკონტროლებელი უწყებების სათანადო მუშაობის პირობებში შესაძლებელია დადებული შეთანხმებების უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა.

I დანართი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 232-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს კოდექსის 48-ე, 49-ე, 51-ე, 51¹-51⁵, 52-ე, 53-ე, 53¹, 53², 54-ე, 54¹, 55-ე, 55¹-55⁵, 56-ე, 57-ე, 57¹-57³, 58-ე, 58¹, 58², 59-ე, 59³, მე-60, 60³, 61-ე, 61¹, 63-ე, 63¹, 64-ე, 64¹, 65-ე, 66-ე, 66¹, 66², 67-ე, 67¹, 68-ე, 69-ე, 69⁴, 69⁵, 71-ე, 72¹, 73-ე-78-ე, 79¹, 79², 82-ე, 82¹, 82², 84-ე, 84¹, 85-ე, 85¹-85⁵, 86-ე, 89-ე, 89¹-89³, 91², 96², 103¹, 104-ე, 128²-128⁵, 146¹, 146², 148-ე, 150-ე, 151-ე, 151¹, 152-ე, 152³, 165² და 173⁵ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ან იმ პირის მიერ, რომლის უფლებამოსილების ფარგლებშიც მოქმედებდა იგი, დადებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში შეთანხმება.

ქვემოთ, ვრცლად არის წარმოდგენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის არსი და ამ დარღვევისათვის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სანქცია.

მუხლი 48. წყლის ობიექტის თვითნებური დაკავება - გამოიწვევს დაჯარიმებას **200 ლარის** ოდენობით.

მუხლი 49. (1.) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის თვითნებური დაკავება - გამოიწვევს დაჯარიმებას **200 ლარის** ოდენობით; (2.) დაცული ტერიტორიის საზღვრების ფარგლებში მიწის თვითნებური დაკავება - გამოიწვევს დაჯარიმებას **400 ლარის** ოდენობით.

მუხლი 51. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-შენახვისა და სამელიორაციო სამუშაოთა ჩაუტარებლობის, აგრეთვე რეკულტივაციის, ქარისმიერი, წყლისმიერი ეროზიისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგის დაცვის მიწათმოსარგებლემდე დამოკიდებული სავალდებულო ღონისძიებების შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 1000 ლარამდე**.

მუხლი 51¹. (1.) დაცული ტერიტორიების მართვისა და დაცვისათვის უშუალოდ პასუხისმგებელ პირთა მიერ დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მიწების არა იმ მიზნით გამოყენება, რისთვისაც ისინი გამოიყო, - გამოიწვევს დაჯარიმებას **150-დან 200 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის

უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 500 ლარამდე**.

მუხლი 51². მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გადაადგილება, რაც დაკავშირებული არ არის დადგენილი წესით ნებადართულ ღონისძიებებთან, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1500-დან 2000 ლარამდე**.

მუხლი 51³. სახელმწიფო არასასოფლო-სამეურნო დანიშნულების მიწით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით გაუფორმებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **800-დან 1000 ლარამდე**. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **3000-დან 3500 ლარამდე**.

მუხლი 51⁴. მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისას ნიადაგისა და წყლის გაუვარგისება - გამოიწვევს დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების 50-დან 100 მინიმალურ ოდენობამდე**.

მუხლი 51⁵. მაღალმთიან რეგიონებში იმ სუბალპური და ალპური მცენარეულობის მოპოვება, რომლის სანვავად და სხვა მიზნით მოხმარება აკრძალულია, - გამოიწვევს დაჯარიმებას **30-დან 50 ლარამდე**.

მუხლი 52. მიწის გაუვარგისება სანარმოო და სხვა ნარჩენებით, მისი ჩამდინარე წყლით დაბინძურება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 800 ლარამდე**.

მუხლი 53. დროებით დაკავებული მიწის თავის დროზე დაუბრუნებლობა ან დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მისი ვარგის მდგომარეობაში მოყვანის შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 500 ლარამდე**.

მუხლი 53¹. (1.) დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მოქცეული, დროებით დაკავებული მიწების დროულად დაუბრუნებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 400 ლარამდე**.

მუხლი 53². მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 1000 ლარამდე**.

მუხლი 54. მიწის გამოყენებისა და დაცვის შესახებ პროექტისაგან სათანადო ნებართვის გარეშე გადახვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 500 ლარამდე**.

მუხლი 54¹. მიწის კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დადგენილი წესით მიცემული გაფრთხილების შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **600-დან 700 ლარამდე**. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **2000-დან 2500 ლარამდე**.

მუხლი 55. მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 700 ლარამდე ან ადმინისტრაციულ აპტიმრობას 10 დღის ვადით, საზღვრის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით**. იგივე ქმედება ჩადენილი, განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1500-დან 2000 ლარამდე**.

მუხლი 55¹. მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა მიწის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენის მქონე ობიექტების მშენებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000-დან 2000 ლარამდე**.

მუხლი 55². სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000-დან 2000 ლარამდე**. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **3000-დან 3500 ლარამდე**.

მუხლი 55³. მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობასა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის, საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა მიწის ფონდებზე, მიწების მდგომარეობისა და გამოყენებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მიწის გამოყოფის თაობაზე განაცხადის, შუამდგომლობის საჩივრების განხილვის ვადების დარღვევა, - გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების ერთიდან ორ მინიმალურ ოდენობამდე**.

მუხლი 55³. (1.) დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების საზღვრების სამიჯნე ნიშნების მოსპობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 100 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 150 ლარამდე**.

მუხლი 55⁵. (1.) ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მინათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **3500 ლარის ოდენობით**.

მუხლი 56. (1.) წიაღით სარგებლობის ობიექტების განლაგების ფართობების თვითნებურად განაშენიანება, წიაღის დაცვის, წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მავნე გავლენისაგან ბუნებრივი გარემოს, შენობებისა და ნაგებობების დაცვის მოთხოვნების შეუსრულებლობა, სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობების ლიკვიდაციისა და კონსერვაციის, მიწის მინაკუთვინის ფარგლებში წიაღის რეკულტივაციის წესებისა და ნორმების დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 800 ლარამდე**. (2.) სასარგებლო წიაღისეულის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გაუარესება, – გამოიწვევს დაჯარიმებას **800-დან 1000 ლარამდე**.

მუხლი 57. წიაღის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ან მოჰყვა მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილების, სამარკშიდერო და გეოდეზიური ნიშნების მოსპობა ან დაზიანება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და დამცავი ზონების ხელყოფა, გეოლოგიური ინფორმაციის საკუთრების უფლების დარღვევა, წიაღის შესახებ დაგვიანებული ან ცრუ ინფორმაციის შეგნებულად მიწოდება, – გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების 10-დან 50 მინიმალურ ოდენობამდე**, თანამდებობის პირთა დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების 50-დან 70 მინიმალურ ოდენობამდე**.

მუხლი 57¹. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000-დან 1500 ლარამდე**.

მუხლი 57². წიაღით სარგებლობის ნორმების, აგრეთვე წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 700 ლარამდე**.

მუხლი 57³. წიაღით სარგებლობა სათანადო ლიცენზიის პირობების დარღვევით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარით**.

მუხლი 58. (1.) წყლის ობიექტების დაბინძურება, დანაგვიანება, წყლის ობიექტებში ნარჩენებისა და სხვაგვარი ნაყარის ჩაყრა, – გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**. (2.) სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება, – გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 600 ლარამდე**. (3.) წყლის ტრანსპორტიდან, მილსადენებიდან, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობებიდან წყლის დაბინძურება ან დანაგვიანება ბეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 600 ლარამდე**. (4.) ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილებში აღნიშნული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 800 ლარამდე**.

მუხლი 58¹. დაცული ტერიტორიების კანონმდებლობით დადგენილი საზღვრების ფარგლებში არსებული წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების რეჟიმის დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას **250-დან 350 ლარამდე**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **450-დან 550 ლარამდე**.

მუხლი 58². (1.) ხმელეთიდან ზღვაში საყოფაცხოვრებო ნაგვის ან სხვა ნარჩენების ჩაყრა – გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 300 ლარამდე**. (2.) ხმელეთიდან ბეთით, ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით ზღვის დაბინძურება ან დანაგვიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 600 ლარამდე**. (3.) ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს **500-დან 800 ლარამდე**. (4.) გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში საყოფაცხოვრებო (მყარი) ნარჩენების ჩაყრა – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით**. (5.) 20 000 ტონამდე საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრა – გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოდენობით**. (6.) 20 000 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრა – გამოიწვევს დაჯარიმებას **10000 ლარის ოდენობით**. (7.) გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან, მილსადენიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ანდა მასალის ჩაღვრა (ჩაყრა, ჩაშვება), აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურება – გამოიწვევს დაჯარიმებას **65000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 59. გემის ან სხვა მცურავი საშუალების კაპიტნის ან მეთაურთა შემადგენლობის სხვა პირთა მიერ

სახომალდო დოკუმენტებში ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებთან ან/და დადგენილი ნორმების გადამეტებით ასეთ ნივთიერებათა შემცველ მინარევებთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა, აღნიშნულ პირთა მიერ სახომალდო დოკუმენტებში არასწორი ჩანაწერების შეტანა ამ ოპერაციების შესახებ ან შესაბამისი თანამდებობის პირთათვის ამ დოკუმენტების წარდგენაზე უკანონოდ უარის თქმა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**.

მუხლი 59³. (1.) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი რეგულირების საფასურის გადახდის მოთხოვნათა შეუსრულებლობა - გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **10000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 60. (1.) საერთო წყალსარგებლობის მოთხოვნათა დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 400 ლარამდე**. (2.) ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღება შესაბამისი ნებართვის გარეშე ან ნებართვის პირობების დარღვევით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**. (3.) წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვება შესაბამისი წყალჩაშვების ნებართვის გარეშე ან ნებართვით დადგენილი პირობების დარღვევით, წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიების (ზღვრულად დასაშვები ჩაშვების) ნორმებისა და წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 500 ლარამდე**. (4.) განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტებით უკანონო სარგებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **350-დან 550 ლარამდე**. (5.) ამ მუხლის პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში აღნიშნული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 800 ლარამდე**.

მუხლი 60³. (1.) წყალმომარაგებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, რაც იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს, - გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას **100 ლარამდე**, იურიდიულ პირთა - **500 ლარამდე**. (2.) სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის განკუთვნილ სანიტარიული დაცვის ზონებსა და წყალდაცვით ზოლებში კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევა, - გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას **1000 ლარით**, იურიდიულ პირთა - **2000 ლარით**. (3.) იგივე ქმედება, ჩადენილი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონაში, - გამოიწვევს ფიზიკურ პირთა დაჯარიმებას **2000 ლარით**, იურიდიულ პირთა - **4000 ლარით**.

მუხლი 61. წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **150-დან 250 ლარამდე**.

მუხლი 61¹. წყლის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა ავარიული სიტუაციების, ხალხური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება, - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას **50-დან 200 ლარამდე**, თანამდებობის პირთა - **50-დან 200 ლარამდე**. წყლის პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დარღვევა, წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესის დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 100 ლარამდე**. წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო კადასტრის წარმოების წესის დარღვევა, - გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას **100-დან 150 ლარამდე**.

მუხლი 63. საანგარიშო ტყეკაფის დადგენის, ტყეკაფის გამოყოფის, ხე-ტყის ზებუნურად გაცემის, მთავარი სარგებლობის, მოვლითი ჭრისა და სპეციალური ჭრის წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას ორმოცდაათიდან ორას ლარამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების 30-დან 35 გრადუსამდე დაქანების ფერდობებზე, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 250 ლარამდე**.

მუხლი 63¹. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონის, ალკვეთილის, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ზონის, დაცული ლანდშაფტის, ბიოსფერული რეზერვატის ტრადიციულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის ტერიტორიების ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში ტყეკაფის ფონდის გამოყოფის, გამოყენებისა და ტვირთსარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**.

მუხლი 64. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ხე-ბუჩქნარისა და ტყის კულტურების, ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში ნათესების ან ნერგების მოსპობა ან დაზიანება, რამაც შესაძლოა მათი ზრდის შეწყვეტა გამოიწვიოს, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 400 ლარამდე**.

მუხლი 64¹. (1.) დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მერქნიან მცენარეთა უკანონო გაჩეხვა და დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 500 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო

მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების მიმართ, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 600 ლარამდე**.

მუხლი 65. სატყეო პლანტაციური მეურნეობის წარმოების, ტყის მერქიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების, სახელმწიფო ტყის ფონდის არამერქნული რესურსებით სარგებლობის, სახელმწიფო ტყითა და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელი მიწებით სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური მიზნით სარგებლობის, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების განხორციელების, სახელმწიფო ტყის ფონდით საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობის, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 150 ლარამდე**.

მუხლი 66. (1.) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე ან სამონადირეო მეურნეობის მოწყობა სათანადო ლიცენზიის გარეშე - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით, საგარეურობის საგნის კონფისკაციით, საგარეურობის იარაღის კონფისკაციით ან უაზისოვ**. (2.) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით, საგარეურობის საგნისა და იარაღის კონფისკაციით**. (2¹.) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე (გარდა დაცული ტერიტორიისა) ფიზიკური პირის მიერ შემოსილი დამზადება პირადი სარგებლობისათვის სათბობად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტების გარეშე - გამოიწვევს **ფიზიკური პირის მიერ დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, საგარეურობის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უაზისოვ**. (2².) ამ მუხლის 2¹ ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით, საგარეურობის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უაზისოვ**. (3.) ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ან ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით, საგარეურობის საგნისა და იარაღის კონფისკაციით ან უაზისოვ**. (4.) ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **4000 ლარის ოდენობით, საგარეურობის საგნისა და იარაღის კონფისკაციით**.

მუხლი 66¹. სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის არამიზნობრივი გამოყენება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 66². ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**.

მუხლი 67. ტყის დაცვის ან სახელმწიფო ტყის ფონდის მოვლის, აღდგენის ან გაშენების, ან სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენისა და გაშენების მიზნით მცენარეთა სახეობების შერჩევისა და მათი გამოყენების წესებისა და მოთხოვნების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **20-დან 50 ლარამდე**. ტყის დაცვის მიზნით ბიოლოგიური, ქიმიური ან სელექციური საშუალებების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **30-დან ან 50 ლარამდე**.

მუხლი 67¹. ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვისა და აღდგენის ზონებში, აღკვეთილსა და ბიოსფერული რეზერვატის ბუნების მართვადი დაცვისა (მანიპულაციების) და აღდგენის ზონებში განახლებადი ბუნებრივი რესურსების აღდგენისა და მდგომარეობის გაუმჯობესების წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**.

მუხლი 68. (1.) სახელმწიფო ტყის ფონდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **30-დან 50 ლარამდე**. (2.) დაცული ტერიტორიების დადგენილი საზღვრების ფარგლებში მდელოების, მინდვრებისა და ველების, ასევე სათიბი და საძოვარი სავარგულების დაზიანება და ძოვების წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **10-დან 50 ლარამდე** წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) და **30-დან 100 ლარამდე** მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. (3.) იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **30-დან 70 ლარამდე** წვრილფეხა პირუტყვზე (ცხვარი, თხა, ღორი) და **50-დან 150 ლარამდე** მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე.

მუხლი 69. (1.) გარემოს დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 300 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეთარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 400 ლარამდე**.

მუხლი 69⁴. გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემისას, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 500 ლარამდე**.

მუხლი 69⁵. გარემოსდაცვითი მოთხოვნების დარღვევა სამეურნეო ობიექტის ლიკვიდაციისას, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 400 ლარამდე**.

მუხლი 71. (1.) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე ტყის დაზიანება რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური ან სხვა მავნე ნივთიერებებით, რადიოაქტიური, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვა სახის ნარჩენებით, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი ჩამდინარე წყლებით, აგრეთვე მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევებით, რასაც ტყის გახმობა ან დაზავდება მოსდევს, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**. (3.) იგივე ქმედება, ჩადენილი სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **600-დან 800 ლარამდე**.

მუხლი 72¹. სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის წესის ან სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების აღრიცხვის სისტემის განსაკუთრებულ მოთხოვნათა დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 150 ლარამდე**. ტყითსარგებლობის დაგეგმვის მოთხოვნათა დარღვევა, ან ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება ტყითმოწყობის ან სპეციალური გამოკვლევის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული დოკუმენტაციის გარეშე, - გამოიწვევს დაჯარიმებას **70-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 73. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული ტყის დასაშრობი თხრილების, სადრენაჟო სისტემებისა და გზების მოსპობა ან დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 74. ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **10 ლარამდე**.

მუხლი 75. სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის უბნისათვის დაცვის განსაკუთრებული რეჟიმის მიკუთვნებისა და ამ რეჟიმის პირობებში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების წესის დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 150 ლარამდე**. სატყეო-სამეურნეო ღონისძიებებისა და ტყითსარგებლობის განხორციელების რეჟიმის დარღვევა სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყის იმ უბნის ტერიტორიაზე, რომელსაც მიკუთვნებული აქვს დაცვის განსაკუთრებული რეჟიმი, ან სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდის განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების ან ლანდშაფტური უბნის ტერიტორიაზე მეურნეობის წარმოების რეჟიმის დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **70-დან 150 ლარამდე**.

მუხლი 76. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების ან ტყის ხანძრისაგან დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნათა დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 150 ლარამდე**. ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, აგრეთვე ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვება ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 77. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ან/და დროებით შეთანხმებული გაფრქვევის დამტკიცებული ნორმების გადამეტება ან გაფრქვევა ამ ნორმების, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის უქონლობისას და ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ზემოქმედების (მათ შორის, ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველების) დადგენილი ნორმების გადამეტება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 1000 ლარამდე**.

მუხლი 78. (1.) აირმტვერდამჭერი მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 1000 ლარამდე**. (2.) აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოუყენებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000-დან 2000 ლარამდე**.

მუხლი 79¹. საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, - გამოიწვევს დაჯარიმებას **7000-დან 10000 ლარამდე**.

მუხლი 79². გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოქროსით**.

მუხლი 82. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნებისმიერი ტიპის ნარჩენების (მათ შორის, ფოთლების, საბურავების) ღია წესით ან არადანიშნულების სანვავ დანადგარებში დანვისას, – გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 600 ლარამდე**.

მუხლი 82¹. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადებში წარმოდგენლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას **150 ლარის ოდენობით**.

მუხლი 82². (1.) გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-3–მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) – გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**. (2.) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**. (3.) სანარმოო და არასანარმოო ობიექტების მიერ ზღვაში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**. (4.) ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **3000 ლარის ოდენობით**. (5.) მრგვალი ხეტყის (მორის) პირველადი გადამამუშავებელი სახერხი საამქროებისა და სანარმოებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დარღვევა (გარდა ამ მუხლის პირველი–მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით, უაპრონო ხე-ტყის ან/და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავების პროდუქციის კონფისკაციით**. (6.) ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **4000 ლარის ოდენობით, სახარხი მოწყობილობისა და უაპრონო ხე-ტყის ან/და ხე-ტყის პირველადი გადამამუშავების პროდუქციის კონფისკაციით**.

მუხლი 84. (1.) ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, 4¹ და 4² ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემდეგ მათი აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მინერლობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა – გამოიწვევს **ადმინისტრაციული სასჯლის (ჯარიმის) დადებას ამ კოდექსის იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის საძვიის ფარგლებში, რომლის დარღვევის გამოც დააკისრა დარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით, ხოლო დაკისრებული ადმინისტრაციული სასჯლის (ჯარიმის) არსებობის შემთხვევაში – იმ შესაბამისი მუხლის ან მუხლის ნაწილის საძვიის მასიგალური საჯარიმო თანხის გარდაგებას, რომლის დარღვევის გამოც დააკისრა დარღვევის აღმოფხვრა, ამ მუხლებზე მითითებით**. (2.) ამ მუხლის პირველი ნაწილის დარღვევის გამო ადმინისტრაციული სასჯლის დადებიდან ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, 4¹ და 4² ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე შესაბამისი ორგანოს ადმინისტრაციული მინერლობით დაკისრებული მოვალეობის დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა – გამოიწვევს **დაკისრებული ძირითადი ადმინისტრაციული სასჯლის (ჯარიმის) გარდაგებას**. (3.) ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, 4¹ და 4² ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა უფლებების განხორციელებისა და მოვალეობების შესრულებისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოდენობით**. (4.) ამ კოდექსის 239-ე მუხლის მე-4, 4¹ და 4² ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოების თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების, მასალებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა, შემოწმების პროცესში შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მოთხოვნის უგულებელყოფა) – გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**. (5.) ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 84¹. (1.) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ დადებული ბეჭდის (ლუქის) განზრახ დაზიანება – გამოიწვევს დაჯარიმებას **1500 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **3500 ლარის ოდენობით**.

მუხლი 85. (1.) გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არელების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე გარეულ ცხოველთა თვითნებური გადასახლება ახალ საბინადრო გარემოში, თვითნებური ტრანსლოკაცია (ინტროდუქცია, რეინტროდუქცია, რესტოკინგი) და ჰიბრიდიზაცია, – გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 500 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილ გარეულ ცხოველთა სახეობების მიმართ ან სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000-დან 1300 ლარამდე**.

მუხლი 85¹. ქიმიურ საშუალებათა (მათ შორის, მცენარეთა დაცვის და ნიადაგის განოყიერების ქიმიურ საშუალებათა) გარემოში გამოყენების ნორმებისა და ამ ქიმიურ საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების წესების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა ცხოველთა სამყაროს და მათ საბინადრო გარემოს, - გამოიწვევს დაჯარიმებას **150-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 85². გარეულ ცხოველთა ბოლოლოგიური კოლექციების (ბოლოპარკების, ბოლობაღების, ოკეანარიუმების, საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გენოფონდის რეზერვატების) გარემოდან გარეულ ცხოველთა ამოღების გზით შექმნისა და შევსების წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 85³. საქართველოს „ნითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა მოსპობა ან მათი კვერცხის ნადების, კვერცხის, ბუნაგის და სხვა ნაგებობების განადგურება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი დაღუპვა, რაოდენობის შემცირება ან საბინადრო გარემოს დარღვევა, ანდა ამ ცხოველების მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება) მოპოვების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ პირობათა დარღვევით, მათი უკანონო ყიდვა-გაყიდვა ან დატყვევება - გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას **150-დან 650 ლარამდე**, თანამდებობის პირთა დაჯარიმებას **300-დან 850 ლარამდე**, დამრღვევის პირადი საკუთრების საგნების კონფისკაციით, რომლებიც აღნიშნულ დარღვევათა ჩადენის იარაღი იყო, ან უამისოდ, მოპოვებული ცხოველების კონფისკაციით.

მუხლი 85⁴. უკანონოდ მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით, გარეულ ცხოველთა დერევატებით და მათგან გამომუშავებული პროდუქციით ვაჭრობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300 ლარამდე**, **ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი დერევატებისა და მათგან გამომუშავებული პროდუქციის აკრძალვის შესახებ** და **ამოქმედების შესახებ** აკრძალვის კანონის დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 85⁵. სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის, ბუნებრივი გარემოსა და სამეურნეო საქმიანობათვის ზიანის თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული, გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 300 ლარამდე**.

მუხლი 86. (1.) თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის მოპოვება სამოყვარულო და სპორტული იარაღისა და ხერხების გამოყენების დადგენილი წესის დარღვევით - გამოიწვევს დაჯარიმებას **50-დან 300 ლარამდე**, სამართალდარღვევის იარაღის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული თევზის კონფისკაციით. (2.) თევზჭერის სპეციალური მოთხოვნების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**. (3.) თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვება თევზსაჭერი იარაღებისა და ხერხების ან/და წყლის ზომამცირე სატრანსპორტო საშუალების (8 მეტრამდე სიგრძის კატარის, ნავის, ნახევარბარკასის ან სხვა) გამოყენებით (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - გამოიწვევს დაჯარიმებას **400-დან 1000 ლარამდე**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული თევზის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ. (4.) თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვება თევზსაჭერი იარაღების, ხერხებისა და 100 ტონის ან მასზე ნაკლები საერთო ტევადობის, 8 მეტრზე მეტი სიგრძის წყლის სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - გამოიწვევს დაჯარიმებას **4000-დან 5000 ლარამდე**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული თევზის კონფისკაციით, სამართალდარღვევის იარაღისა და წყლის სატრანსპორტო საშუალების კონფისკაციით ან უამისოდ. (5.) 100 ტონაზე მეტი საერთო ტევადობის წყლის სატრანსპორტო საშუალებით თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვება (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), - გამოიწვევს დაჯარიმებას **30000-დან 50000 ლარამდე**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის კონფისკაციით. (6.) თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზჭერის ლიცენზიის პირობების მოთხოვნების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარით**. (7.) ნადირობის წესების დარღვევა ნადირობის ობიექტებისთვის მიკუთვნებულ სახეობებზე ნადირობისას, - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 500 ლარამდე**, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ. (8.) იგივე ქმედება, ჩადენილი იმ იარაღით ან საშუალებით, რომლით ნადირობაც აკრძალულია, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500-დან 700 ლარამდე**, მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ. (9.) ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობის წესის დარღვევა (გარდა ამ მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) - გამოიწვევს დაჯარიმებას **800-დან 1500 ლარამდე**, **მოპოვებული ობიექტისა და სანადირო იარაღის კონფისკაციით**.

მუხლი 89. (1.) დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა

და რეჟიმის დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **20-დან 40 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **25-დან 50 ლარამდე**.

მუხლი 89¹. (1.) სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა არასაგანმანათლებლო მიზნით დაშვება - გამოიწვევს დაჯარიმებას **70-დან 100 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის, გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 89². (1.) სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის ტერიტორიაზე ვიზიტორთა მიერ საბრძოლო, სანადირო, თევზსაჭერი იარაღისა და ნებისმიერი (გარდა მეცნიერული არამანიპულაციური დაკვირვების) მოწყობილობის შეტანა - გამოიწვევს დაჯარიმებას **100-დან 200 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევისათვის, - გამოიწვევს დაჯარიმებას **150-დან 200 ლარამდე**.

მუხლი 89³. (1.) სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის მიერ (გარდა იმ პირებისა, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვთ ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი) ცეცხლსასროლი იარაღით უკანონოდ შესვლა, შეღწევა ან/და აღნიშნულ ტერიტორიაზე გადაადგილება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **200-დან 250 ლარამდე, ცაცხლსასროლი იარაღის პონჯისადაც 100-დან 150 ლარამდე**. (2.) სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე პირის მიერ ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალებით შესვლა, შეღწევა ან გადაადგილება ან აღნიშნული ქმედების განხორციელება ნავის გამოყენებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **150-დან 300 ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის, მათ შორის, ნავის, პონჯისადაც 100-დან 150 ლარამდე**. (3.) სახელმწიფო ნაკრძალის თანამშრომელთა მიერ (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად შექმნილი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისა და დირექციების დირექტორებისა) ცეცხლსასროლი იარაღის ან/და ნებისმიერი სახის თევზსაჭერი საშუალების (მათ შორის, ნავის) მქონე პირთა ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლაზე თანხმობის მიცემა, ან/და აღნიშნულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენისას შესაბამისი ზომების მიუღებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **300-დან 500 ლარამდე**.

მუხლი 91². საქართველოს ტერიტორიაზე ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია, აგრეთვე ფალსიფიცირებული საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი - გამოიწვევს დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების 10-დან ასობით მინიმალურ ოდენობამდე, პროცენტის პროცენტით**.

მუხლი 92¹. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის დარგების ლიცენზიატის ან პირდაპირი მომხმარებლის, აგრეთვე სასმელი წყლის მიმწოდებლის მიერ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 96². (1.) ნავთობისა და გაზის სექტორში საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ნორმატიული აქტებით დადგენილ, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ნავთობის გადამუშავების, ბუნებრივი გაზის დამუშავების, ნავთობის ტრანსპორტირების ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000-დან 3000 ლარამდე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც წლის განმავლობაში ასეთი დარღვევისათვის შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, - გამოიწვევს დაჯარიმებას **2000-დან 5000 ლარამდე**.

მუხლი 103¹. გარეული ცხოველების ტყვეობასა და ნახევრად თავისუფალ პირობებში დაცვის, შენახვის, გამოყენებისა და გამრავლების წესების დარღვევა, - გამოიწვევს დაჯარიმებას **10-დან 50 ლარამდე**.

მუხლი 104. ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მათი დაღუპვა ან დასახიჩრება მოჰყვა, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების წვალება, -გამოიწვევს დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე**.

მუხლი 128². (1.) ხე-ტყის პირველადი გადამუშავება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე - გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღის პონჯისადაც 100-დან 150 ლარამდე**. (2.) უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის პირველადი გადამუშავება - გამოიწვევს დაჯარიმებას

2000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადაამუშავების პროდუქციის კონფისკაციით, საგარეოაღმოსავლეთის იარაღის კონფისკაციით ან უაზისოვ. (3.) ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **4000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადაამუშავების პროდუქციისა და საგარეოაღმოსავლეთის იარაღის კონფისკაციით ან უაზისოვ.** (4.) ხე-ტყის ტრანსპორტირება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით ან უაზისოვ.** (5.) ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით.** (5¹.) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე (გარდა დაცული ტერიტორიისა) ფიზიკური პირის მიერ მოპოვებული ერთ მეტრამდე სიგრძის დაკოტრილი ხე-ტყის ტრანსპორტირება პირადი სარგებლობისათვის სათბობად საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი დოკუმენტის გარეშე – გამოიწვევს **ფიზიკური პირის გაფრთხილებას, ხე-ტყის კონფისკაციით ან უაზისოვ.** (5².) ამ მუხლის 5¹ ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით.** (6.) თვითმმართველი ერთეულის ან კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მოპოვებული ხე-მცენარის საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სათანადო დოკუმენტის გარეშე ტრანსპორტირება (გარდა ამ კოდექსის 151¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ან სპეციალური ფირნიშით მარკირების გარეშე სახერხ საამქროში შეტანა (განთავსება) – გამოიწვევს დაჯარიმებას **200 ლარის ოდენობით, ხე-მცენარის კონფისკაციით ან უაზისოვ.** (7.) ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **400 ლარის ოდენობით, ხე-მცენარის კონფისკაციით.** (8.) სოციალური ჯრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირება საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესების დარღვევით ან ასეთი ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება – გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით ან უაზისოვ.**

მუხლი 128³ (1.) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილ ვადებში ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ანგარიშის (მათ შორის, ყოველთვიური ანგარიშის) ან ხე-ტყის მარკირების სპეციალური ფირნიშის საკონტროლო ფირნიშის შესაბამის ორგანოში წარუდგენლობა, ასევე სპეციალური ფირნიშის ან/და მისი საკონტროლო ფირნიშის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის დადგენილი წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით.** (2.) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით.** (3.) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი ხე-ტყის პირველადი გადამამუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების (გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამამუშავების პროდუქციის კონფისკაციით ან უაზისოვ.** (4.) ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **4000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამამუშავების პროდუქციის კონფისკაციით.** (5.) ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ამ მუხლის მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის მიღებასთან, შენახვასთან, გადამამუშავებასთან ანდა ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი აღრიცხვის შურნალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით – გამოიწვევს დაჯარიმებას **4000 ლარის ოდენობით, უკანონო ხე-ტყის/ხე-მცენარის ან/და მისგან მიღებული პირველადი გადამამუშავების პროდუქციის და სახერხი დანადგარებისა და მონყობილობების კონფისკაციით.**

მუხლი 128⁴. (1.) იმპორტირებული ხე-ტყის მარკირებისთვის საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით.** (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით, ხე-ტყის კონფისკაციით.**

მუხლი 128⁵. (1.) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტისა და სპეციალური ფირნიშების გამოყენების, ხე-ტყის მარკირების, აგრეთვე მათი აღრიცხვის წესების დარღვევა, ასევე ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის ან ხე-ტყის მარკირების სპეციალური ფირნიშების დაუხარჯავი ან/და დაზიანებული ფორმების საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით წარუდგენლობა, ხოლო დაკარგვის შემთხვევაში შესაბამისი განაცხადის წარდგენის დადგენილი წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით.** (2.) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 146¹. (1.) ქვეითად მოსიარულის მიერ ან ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზაზე დაყრა - გამოიწვევს ქვეითად მოსიარულის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი (მიკროავტობუსი)) შემთხვევაში -სამართალდამრღვევის დაჯარიმებას **50 ლარის ოდენობით**. (1¹.) ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაგდება, დატოვება ან დაყრა -გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **50 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას - **500 ლარის ოდენობით**. (2.) სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებსა და ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაბონებში, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **200 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **1000 ლარის ოდენობით**. (3.) ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **3000 ლარის ოდენობით**. (4.) იურიდიული პირის, ინდივიდუალური მენარმის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულების გაუფორმებლობა ნარჩენების გამტან საწარმოებთან (შესაბამისი მუნიციპალიტეტის სათანადო დასახლებაში ნარჩენების გამტანი საწარმოების მომსახურების არსებობის შემთხვევაში) - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**. (5.) ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 146². (1.) ქვეითად მოსიარულის მიერ ან ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების დედაქალაქის ტერიტორიაზე გადაგდება, დატოვება, დაყრა ან სხვა ტიპის ქმედება - გამოიწვევს ქვეითად მოსიარულის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი (მიკროავტობუსი)) შემთხვევაში - სამართალდამრღვევის დაჯარიმებას **50 ლარის ოდენობით**. (2.) სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებზე, ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაბონებზე, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გადატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **200 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **1000 ლარის ოდენობით**. (3.) ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **3000 ლარის ოდენობით**. (4.) იურიდიული პირის, ინდივიდუალური მენარმის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების გატანაზე ხელშეკრულების გაუფორმებლობა ნარჩენების გამტან საწარმოებთან - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**. (5.) ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **5000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 148. (1.) ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა, აგრეთვე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სისუფთავისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესების დაუცველობა, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის მიმავრებული ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო ან სხვა ნარჩენების თვითნებური დაყრა, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **200 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **1000 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **5000 ლარის ოდენობით**. (3.) თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესების დარღვევით თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა, გარდა პირუტყვის მესაკუთრის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა, - გამოიწვევს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას **20 ლარის ოდენობით**. (4.) ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა - გამოიწვევს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრის დაჯარიმებას **50 ლარის ოდენობით**.

მუხლი 150. (1.) სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-წარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ღობეებისა და შენობების შეუღებავად მიტოვება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **50 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**.(2¹.) სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურად შესრულება ადმინისტრაციული ორგანოების

შენობათა ფასადებზე, აგრეთვე მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების სავალ ნაწილზე, - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**. (2².) ამ მუხლის 2¹ ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, - ადმინისტრაციულ **აპტიმრობას 30 დღეამდე ვადით**. (3.) ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**. (4.) ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, -გამოიწვევს **დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით**. (5.) ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, - გამოიწვევს **დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით**.

მუხლი 151. (1.) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწაზე მწვანე ნარგავების დაზიანება ან/და თვითნებური მოჭრა, ან გამწვანებისათვის გამოყოფილი ზოლის დაზიანება - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. (3.) თვითმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბუღვარში, პარკში ან სკვერში მწვანე ნარგავების შინაური ცხოველის მიერ დაზიანება ან/და განადგურება - გამოიწვევს შინაური ცხოველის მესაკუთრის დაჯარიმებას **50 ლარის ოდენობით**.

მუხლი 151¹. (1.) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაზიანება, თვითნებური გაჩეხვა ან/და გადატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენის წესების დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით, საგარეოაღმოსავლეთის საგნის და იარაღის პოვნისაპაციით ან მის გარეშე**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით, საგარეოაღმოსავლეთის საგნის და იარაღის პოვნისაპაციით ან მის გარეშე**.

მუხლი 152. (1.) ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **200 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **1000 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **1000 ლარით**, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას **3000 ლარით**. (3.) ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან 10 დღის ვადაში, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**, ხოლო იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას - **3000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 152³. (1.) ქ. თბილისის ტერიტორიაზე ეზოების, სკვერების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, სამშენებლო მასალებით მათი ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება ან/და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისთვის დადგენილი პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **500 ლარის ოდენობით**, იურიდიული პირის დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით**. (2.) იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას **1000 ლარის ოდენობით**, იურიდიული პირის დაჯარიმებას **4000 ლარის ოდენობით**.

მუხლი 165². წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება წიაღით სარგებლობის გადასახადისაგან თავის არიდება, - გამოიწვევს დაჯარიმებას **800-დან 1000 ლარამდე**.

მუხლი 173⁵. სახელმწიფო კონტროლისა და მუდამხედველობის უფლებამოსილი ორგანოსათვის ან თანამდებობის პირისათვის მოვალეობის განხორციელებისას ხელის შეშლა, -გამოიწვევს პასუხისმგებელი პირის დაჯარიმებას **შრომის ანაზღაურების 150-დან 300 მინიმალურ ოდენობამდე**.

სარჩევი

წინასიტყვაობა	1
კანონი კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებისათვის	2
კანონის მიღებამდე	3
გარემოს დაცვის სამინისტროს პოზიცია.....	5
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პოზიცია.....	7
I შეთანხმება - „მადნეული და კვარციტი გარემოს წინააღმდეგ“.....	10
II შეთანხმება საქნახშირთან	14
III შეთანხმება - იაფად.....	15
დასკვნა	16
I დანართი	16

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 2000 წელს დაარსდა. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ენერგეტიკა - მოპოვებითი მრეწველობა - კლიმატის ცვლილება; ტრანსპორტის სექტორის მდგრადი განვითარება; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა; ნარჩენებისა და წყლის მართვა. ამ თემატური მიმართულებების გარდა, მწვანე ალტერნატივას პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა: გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობა; ინფორმაციაზე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებსა და მართლმსაჯულებაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი მართვისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტების გაუმჯობესება; ევროპის სამეზობლო პოლიტიკა; საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის და საქართველოსთვის განეული საერთაშორისო ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ, საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრია. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. დაარსების დღიდან ასოციაცია არის „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის“ წევრი; ორგანიზაცია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს „დედამინის მეგობრების“ საერთაშორისო ფედერაციასთან, „კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან“, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციასთან; მწვანე ალტერნატივა 2008 წელს დაარსებული კოალიციის «გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის» წევრიცაა. 2010 წელს მწვანე ალტერნატივას ინიციატივით დაფუძნდა „საქართველოს მწვანე ქსელი“ - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ექსპერტების არაფორმალური გაერთიანება, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გარემო, ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას და გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას საქართველოში.

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე მიმართული კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განეული წარმატებული საქმიანობისათვის.